# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ორშაბათი-სამშაბათი, 29-30 მარტი. 2021 წ. №65-66 (9184-9185) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი




## რამდენიმე ტიტული ერთი გასროლით!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ბორჯღალოსნებს“, რუმინელების დამარცხების შემდეგ, გუშინ ანთიმოზ ივერიელის თასი გადასცა. გარდა აღნიშნული თასის მოპოვებისა, ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრები ერთი ტურით ადრე გახდა რაგბი-ევროპის ჩემპიონის ტიტულის მფლობელი.**

იხ. 10 გვ.

## SOS!

## საქართველოში ვაქცინაციის ტემპი ⑤ მსოფლიო მაჩვენებელს 263-ჯერ ჩამორჩება!

## „დემონიზებულ“ ოპოზიციას მხოლოდ საკუთარი ტყუილების სჯერა!

ოპოზიციური პარტიების ნაწილი აცხადებს, რომ მზადაა პარლამენტში შევიდეს კონკრეტულ საკითხებზე აუცილებელი რეფორმების გასატარებლად, „ქართული ოცნების“ მთავრობასთან შეთანხმების შემთხვევაში. 27 მარტს გავრცელებულ განცხადებას ხელს აწერენ:

- **გირჩი — მეტი თავისუფლება;**
- **ლელო;**
- **ელენე ხოშტარია — დროა;**
- **ევროპული საქართველო;**
- **ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;**
- **პროგრესი და თავისუფლება;**
- **მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის;**
- **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.**

ეს პარტიები კიდევ ერთხელ ადასტურებენ საკუთარ პოზიციას ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის კრიზისის დასაძლევად შემოთავაზებული გზამკვლევის ყველა პუნქტთან დაკავშირებით.

### ახალი არჩევნების საკითხი

გიორგი რურუას ციხეში დატოვებამ, დავითგარეჯას საქმის პოლიტიკური დაკვეთით დაწყებამ, რომლის ამოცანაც პოლიტიკური ოპოზიციის დემონიზება იყო, ოპონენტების პოლიტიკურმა დევნამ, საარჩევნო კამპანიის დროს ოპოზიციის მიმართ დაუსჯელმა ძალადობამ, წინასაარჩევნოდ მოსყიდვის და ადმინისტრაციული რესურსის არნახულმა მასშტაბმა, არჩევნების დღეს ამომრჩევლის კონტროლის კარუსელებმა, ბიულეტენების ჩაყრამ, ოქმების მანიპულაციებმა და სასამართლოების მიერ საარჩევნო დავების განხილ-







### ოპოზიციის ნაწილი განმარტავს, რა შემთხვევაში შევა პარლამენტში...

ვაზე ორგანიზებულმა უარმა, **გამორიცხა 2020 წლის ოქტომბერში ჩატარებული არჩევნების შედეგების მიმართ ნდობა.**

არჩევნების შემდგომ პერიოდში, ისედაც რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, ხელისუფლებამ შტურმით აიღო ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიის ოფისი და დააპატიმრა მისი ახლად არჩეული თავმჯდომარე ნიკა მელია, რასაც წინ უძღოდა ივანიშვილის ფორმალურად გადადგომა პარტიის თავმჯდომარეობიდან და საჯარო პოლიტიკიდან მისი გაწევა. ასევე, მელიას ამგვარი ფორმით დაპატიმრების პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა პრემიერმა გიორგი გახარიამ. ივანიშვილი და გახარია რეალურადაც და ფორმალურადაც ის ცენტრალური ფიგურები იყვნენ, რომლებსაც მხარი დაუჭირა „ქართული ოცნების“ ამომრჩეველმა. **ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ახალი, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა ლოგიკური აუცილებლობა და ევროპული დემოკრატიული ტრადიციის შესაფერისი ნაბიჯია.**

იხ. 2 გვ.

# მეორედ მოსვლები საქართველოში და ენაზე გადავლებული შხამი

**დღეს ჩვენთან მეორედ მოსვლების ჟამია, რაც დიდ იმედებს უჩენს ქვეყანას. ჩვენი კეთილად მოსაგონარი კრისტიან დანიელსონი ორშაბათიდან კვლავ შეუდგება ქართული პოზიცია-ოპოზიციის წვრთნასა და შეგონებას. მალე პოლიტიკურ კაბადონზე ხელახლა გამოჩნდება ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია. ორივე ეს მოვლენა იმედითა და რწმენით აღავსებს მოსახლეობას.**

ახლა, როცა ცნობილია ევროკავშირისა და აშშ-ს ხელმძღვანელობის დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისისადმი, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს ყოვლად უსინდისო ინსინუაციები და ბინძური ჭორები, რომლებიც ქვეყანას ატერორებს. ამერიკული მხარე ქართულ ოპოზიციასა და საზოგადოებას გამოკვეთილად უცხადებს, რომ ხელისუფლება 2012 წლიდან დღემდე ადგას პროდასავლურ კურსს და ამ კურსიდან არასოდეს გადაუხვევია. აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპისა და რეგიონული უსაფრთხოების ქვეკომიტეტში საქართველოს შესახებ გამართული მოსმენის დროს ითქვა, რომ იზიარებენ ეუთო-ოდირის და ყველა სხვა საერთაშორისო დამკვირვებლის დასკვნებს, რომელთა მიხედვითაც ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა თავისუფალ გარემოში, იყო კონკურენტული და აკმაყოფილებდა დემოკრატიულ სტანდარტებს.

ის კი არა, ხაზგასმით ითქვა, რომ ოპოზიცია პარლამენტში უნდა შევიდეს, რადგან **„ოპოზიციის ფუნქცია არ არის ქვეყანაში არეულობის გამოწვევა“,** რომ ნიკა მელიამ დაარღვია კანონი და იმიტომაც ზის ციხეში.

გამოკვეთილია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის ჯორჯ კენტის დასკვნაც: **მელიამ მოიხსნა ელექტრონული სამაჯური და ამით დანაშაული ჩაიდინაო.** ასეთი პასუხი გასცა ჯ. კენტმა სენატორ ჯინ შაჰინის რიტორიკულ შეკითხვას, რაში სჭირდება საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციის ლიდერის პატიმრობა და რამდენად წაადგება საქმეს მისი გათავისუფლება, რათა ოპოზიცია მოლაპარაკებათა მაგიდას დაუბრუნდეს. კანონის უზენაესობას ყველა ქართველმა ლიდერმა პატივი უნდა სცეს!

ყველაზე მთავარი დასკვნა: **საქართველო რჩება აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად.**

მშვენიერი შეფასებაა. ეს — „გარედან“ გაშუქებით, საერთაშორისო თვალთახედვით. ჩვენი ოპოზიცია რაღაცას კი ლუღლუღებს, მაგრამ გამოკვეთილად ვერ აპროტესტებს.

ოპოზიციას საგარეო შეფასებებიც ფეხებზე ჰკიდია და შინაურიც. თავს იმით იმშვიდებს, ხალხს ამგვარი კომუნიკაციების მიმართ უნდობლობა აქვსო, ენდიაის კვლევა „ვალიდური არ არის და რეალობას არ ასახავსო“. წინასწარ მზადდება უიმედობის „ბუკეტი“, რომ კრისტიან დანიელსონის აწინდელი, მეორე ვიზიტიც ფუჭი იქნება, მხარეები ვერ შეთანხმდებიან.

ამ სკეფსისს თავისი გამოკვეთილი მიზანი აქვს, რაც საჯაროდ გააცხადა კიდეც **დოღრიალა გიგი უგულავამ:** ჩვენ გვინდა ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს შეთანხმებით, მაგრამ თუ ასე არ მოხდება, არჩევნები დაინიშნება იძულებით!

აი, ეს „იძულება“ — ამბოხი, არეულობა, რევოლუციაა მათი სანუკვარი ნიშანსვეტი, რადგან უწყიან, რომ უამისოდ ვერაფერს მიაღწევენ. ოპოზიციური პარტიები ვერა და ვერ იაზრებენ თავიანთ მოვალეობას ქვეყნის წინაშე, იმას, რომ აუცილებლად უნდა დაძლიონ არსებული უთანხმოებანი. აკი აფრთხილებს კიდეც მათ ცნობილი ამერიკელი სენატორი ჯიმ რიში, თუ მოლაპარაკებას ვერ შეძლებთ, დაკარგავთ ევროატლანტიკურ ინსტიტუციებთან შეერთების შესაძლებლობასო.

შეუთავსებლობა, ყველაფრის კრიტიკა, ყველაფრის გატრიზავება, ყოველივე ახლის ხიშტებით დახვედრა-დღეს ამით ცხოვრობს ოპოზიციური მედია. თუნდაც ეს ავიღოთ: რა ამბავი ატეხეს გამორჩეული პიროვნების თეა წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნის გამო. ჰოჰოჰო, რა ყვავივით ჩაკორტნა ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ, ანუ როგორც მოსწრებულად იხუმრა „უცნობის კიდობნის“ ერთმა სტუმარმა, გრიგოლ ინგაიამ! უმალ გამოაცხო სპეციალური გადაცემა, შეკრიბა საჭირო ხალხი და მიდიიი! ჰოდა, ჩვენი დიდებული მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი დაგვემუქრა, ჩემი ფეხი არ იქნება საქართველოს სცენაზე, სანამ კულტურას წულუკიანი მართავსო.

იხ. 2 გვ.

# ვაგრძელებთ შრომას ევროკავშირის სრულ-უფლებიანი წევრობისთვის!



**ჩვენ ვაგრძელებთ შრომას ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისთვის და ვემზადებით 2024 წელს ოფიციალური განაცხადის გასაკეთებლად,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების ოთხ წლისთავთან დაკავშირებით აღნიშნა. როგორც მთავრობის მეთაური აცხადებს, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ქართველმა საზოგადოებამ, მათ შორის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამ, მაქსიმალურად ისარგებლოს ყველა სიკეთით, რაც ევროინტეგრაციას მოაქვს საქართველოს მოქალაქეებისათვის.

**„დღეს ევროკავშირის/შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების ოთხი წლისთავს აღვნიშნავთ. 2017 წლის მარტის ისტორიული გადაწყვეტილებით ევროკავშირმა და ევროპის ქვეყნებმა საქართველო სანდო და ღირსეულ პარტნიორად აღიარეს. ეს დემოკრატიის გაძლიერებისა და ქვეყნის განვითარებისთვის ჩვენი ძალისხმევის, გატარებული რეფორმების უმაღლესი შეფასებაა.**

**ამ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენამ კიდევ უფრო დააახლოვა საქართველო ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახს და ახალი შესაძლებლობები გახსნა მის წინაშე. დღემდე საქართველოს მილიონზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა უვიზო მიმოსვლით ევროპის ქვეყნებში.**

**ჩვენ ვაგრძელებთ შრომას ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისთვის და ვემზადებით 2024 წელს ოფიციალური განაცხადის გასაკეთებლად; ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ, მათ შორის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამ, მაქსიმალურად ისარგებლოს ყველა სიკეთით, რაც ევროინტეგრაციას მოაქვს ჩვენი მოქალაქეებისათვის“.**

# მეორედ მოსვლები საქართველოში და ენაზე გადავლებული შხამი

(პირველი გვერდიდან) რატომ, ქალბატონო ანიტა, მხოლოდ იმიტომ, რომ წულუკიანმა განაცხადა სრულიად ნორმალური რამ, გავერკვევი კულტურის სფეროში ვინ, რატომ, რით არის უკმაყოფილოო? ვითომ რატომ არ უნდა გაერკვეს მინისტრი ამ საჭირბოროტო საკითხებში? ქალი და ასეთი როყიო „აფთარი“, ქალბატონო ანიტა?! თქვენს მაგივრად ალბათ საოცრად გონიერ თეა წულუკიანს რცხვენია.

* * *

**ახლა მეორე „მეორედ მოსვლის“ შესახებ.**

**მართლდება საზოგადოების ეჭვი, რომ სულ ახლახან პრემიერ-მინისტრობიდან კარგაჯახუნებული გიორგი გახარია შეიძლება პოლიტიკაში დაბრუნდეს. ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ! ჭორი მისი დაბრუნების შესახებ სულაც არ გამოდგა ჭორი. არსად წასვლას არ ვაპირებ, უფრო მეტიც, პოლიტიკიდან არ წავალ. დღის წესრიგს, რეალურ გეგმას მივყვები, რაც იმის შესაძლებლობას მოგვცემს,რომ უახლოეს ხანს ყველაფერი მოგიყვეთ და გაგირჩიოთ, მალე შევხვდებით და ყველა კითხვას პასუხი გაეცემაო, განუცხადა ტელეჟურნალისტებს ახალი პარტიის ლიდერის ჩოხამორგებულმა ბატონმა გიორგიმ.**

ამან უმალ, ელვის სისწრაფით გამოკვირტა ეჭვი, რომ „გახარია, შეიძლება, ივანიშვილის პროექტი“ იყოს. ისეთი მოლოდინიც გაჩნდა, რომ ყოფილმა, საკმაოდ წარმატებულმა პრემიერ-მინისტრმა შეიძლება „მესამე პოლიტიკური ცენტრის“ მეთაურობაც იტვირთოს. ოღონდ ეს მოსაზრება შეიძლება სულაც არ იყოს უბრალოდ „მოსაზრება“, საკმაოდ წონიანი სარჩული ედოს. პრემიერობის მოკლე პერიოდში გიორგი გახარიამ დაამტკიცა, რომ უნარიანად შეუძლია ქვეყნის მართვა, აქვს საამისო „ოფსილა“, სერიოზული და ფრთხილი პოლიტიკოსია. მას სწორედაც რომ ძალუძს საყოველთაოდ სასურველი „მესამე ძალის“ მესაჭეობა. რაც მთავარია, საზოგადოება გულისყურით ელის ამ ახალი ძალის გამოჩენას, მყარად ჩაბეტონებული პოლიტიკური უძრაობის შენჯღრევას, ერთი სიტყვით, ჭაობში კუნძის გადასროლას, რაც ჩააჩუმებს ყიყინს და ზედაპირზე წრეებს აამოძრავებს.

რა მიმართულების, რა პოლიტიკური ელფერისა იქნება პარტია „გიორგი გახარია და ლ⁶“? ყოველ შემთხვევაში უთუოდ არცერთი იმ მიმართულებისა, რამაც ასე გაგვიწყალა გული და შეგვაძულა თავი! თუ როგორ გაუძლებს იგი ოპოზიციის საყოველთაო შეტევებს, რასაც ყველა ვარიანტში უნდა ელოდოს, ამას დრო გვიჩვენებს. როგორი ურთიერთობა ექნება „ქართულ ოცნებასთან“ ამაზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. სავარაუდოა, რომ მტრული არა, მაგრამ ისიც სავარაუდოა, რომ ახალი პარტია „ქართული ოცნება-2“ არ იქნება (ასეც უნდა იყოს), ოღონდ ისიც საფიქრებელია, რომ იგი სერიოზულ ხმებს წაართმევს „ოცნებას“ არჩევნებისას. ანუ, ამ ახალი ორგანიზაციის გამოჩენით, რომელიც ალბათ ნამდვილად არ იქნება ჩვენში კარგად და ფართოდ ცნობილი ხუთკაციანი პარტიების ტყუპისცალი, დაიწყება მთლიანად ოპოზიციური ველის, ოპოზიციური ამომრჩევლის სერიოზული გადალაგება.

გახარიას შეუძლია შექმნას ფართო ალტერნატიული მოძრაობა უძრაობით სულშეხუთულ ქვეყანაში და ეს იქნება დანარჩენი ორის (ოპოზიცია, „ოცნება“) თანაბარი პოლიტიკური ძალა. ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე ძნელია ვარაუდი ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი გახარიას ალიანსზე, იმაზე, რომ გახარია ივანიშვილის ხელდასხმით ქმნის ამ პარტიას. ნათელ მიზნამდე ჯერ შორია, ჯერ წინ კრისტიან დანიელსონის ეგიდით მოლაპარაკებაა. გაკოტრებულ ოპოზიციას მყარი პოზიცია აქვს: ჩვენ დათმობებზე არ წავალთ, უკან არ დავიხევთ არცერთ პუნქტში, თუ ხელისუფლებას სურს პოლიტიკური კრიზისის დასრულება, შეთანხმების მიღწევა, წავიდეს კომპრომისზე, დათანხმდეს ჩვენს პირობებს, თორემ მიიღებს საყოველთაო დაუმორჩილებლობას და ჯანყსო. ასეთია მათი ლოგიკა.

**ამ კომპასით ნაპირს როგორ მივაღწევთ?**

**მგონი ლევ ტოლსტოის აქვს ნათქვამი, უბედურება მარტო არ მოდისო. პოლიტიკურ აჯაფსანდალს ათასი სხვა ერთვის, რა თქმა უნდა... „ხელისუფლების ბრალეულობით“. ვაშლიჯვარში მეწყრული კლდე გაირღვა და ზვავის საშიშროება შეიქმნა; კოვიდის საწინააღმდეგო აცრამ ერთი სიცოცხლე შეიწირა, რამაც ვაქცინაციის პროცესი შეაფერხა... და ხელისუფლებას ღვარცოფის ახალი ნაკადი დაატყდა თავს.**

**ოპოზიცია ხომ ყველაფერს უმალ იყენებს ენაზე შხამის გადასავლებად!**



ალეკო ასლანიშვილი

# „დემონიზებულ“ ოპოზიციას მხოლოდ საკუთარი ტყუილების სჯერა!

(პირველი გვერდიდან) ხელისუფლების წარმომადგენლები საჯაროდ ამ საკითხის განხილვაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ, არასაჯაროდ კი, გამოსავლად საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საკითხის თვითმმართველობის არჩევნების შედეგზე მიბმას გვთავაზობენ. ამ ორი პრინციპულად და შინაარსობრივად განსხვავებული არჩევნების ერთმანეთთან დაკავშირება იწვევს თვითმმართველობის და საპარლამენტო მმართველობის შესახებ მოქალაქეების გადაწყვეტილების მიღების პროცესების აღრევას. ასეთი მოდელი მხოლოდ დამაბნეველი იქნება საზოგადოებისთვის მაშინ, როდესაც ამომრჩევლებს მარტივი და მკაფიო არჩევანი უნდა ჰქონდეთ, და შესაბამისად, არ გამოდგება ტესტად ვადამდელი არჩევნების საკითხზე. სწორედ ამიტომ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დავუჭერთ ამ მოდელს მხარს.

**ოპოზიციას მოქნილი პოზიცია აქვს როგორც ვადამდელი არჩევნების თარიღთან (ბუნებრივია, გონივრულ ფარგლებში), ისე ამ შედეგამდე მისასვლელ გზასთან დაკავშირებით.** ზოგი ჩვენგანი თვლის, რომ ერთადერთი გზა ახლა პირდაპირ ვადამდელი არჩევნების დანიშვნაა, ზოგმა კი, კრიზისის განმუხტვის მიზნით ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ უმრავლესობის აზრის გაგებას, პლებისციტს დაუჭირა მხარი.

### პოლიტიზებული მართლმსაჯულება და პოლიტპატიმრები

ჩვენი თვითმიზანი არ ყოფილა და არ არის ხელისუფლების მხრიდან საჯაროდ აღიარება, რომ ქვეყანაში პოლიტპატიმრები ჰყავს — **ამ ეტაპზე ავტომატურად გადაწყვეტს საკითხს ხელისუფლების მხრიდან ნებისმიერი ფორმით გადადგმული ნაბიჯების შედეგად, ნიკა მელიას და გიორგი რურუას გათავისუფლება, ასევე, პოლიტიკური მოტივით დაწყებული საქმეების შეწყვეტა.**

### საარჩევნო სისტემის რეფორმა

**არჩევნები უნდა ტარდებოდეს სრულად პროპორციული, ბუნებრივბარიერიანი ან მასთან მიახლოებული სისტემით,** რადგან ეს არის ერთადერთი გამოსავალი როგორც დღეს არსებული პოლარიზაციის, ისე ათწლეულობით მოუშორებელი ერთპიროვნული/ერთპარტიული მმართველობის დასასრულებლად.

რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციას, მისი ფორმირების და ფუნქციონირების წესი შეუძლებელს უნდა ხდიდეს მმართველი პარტიის სრულ დომინაციას, რასაც წლების განმავლობაში ვხედავთ. **ოპოზიცია თანახმაა ნებისმიერ ქმედით მექანიზმზე, რომელიც შეცვლის არსებულ საარჩევნო ადმინისტრაციას და გამორიცხავს დღევანდელი ან მომავალი პოლიტიკური ოპოზიციის იგნორირებას საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების პროცესში,** ხოლო საარჩევნო წესები უნდა გამორიცხავდეს ან მაქსიმალურად ამცირებდეს ამომრჩევლების მოსყიდვის ან მათზე ზეწოლის შესაძლებლობას.

ამისთვის ოპოზიციას შეთავაზებული აქვს როგორც ელექტრონული კენჭისყრის რეალისტური მექანიზმების შემოტანა, ასევე ამომრჩევლების იდენტიფიცირების და კენჭისყრის ფარულობის ეფექტიანი უზრუნველყოფა. ეს აუცილებელი ცვლილებები ამ ეტაპზე არაა ასახული პარლამენტში მმართველი პარტიის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო პროექტში.

### სასამართლოს რეფორმა

ოპოზიციური პარტიების დიდ ნაწილს შემუშავებული და საჯაროდ გამოქვეყნებული აქვს საკუთარი ხედვა, თუ როგორ უნდა რეფორმირდეს მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში, მაგრამ ყველა შემთხვევაში, **საწყისი ნაბიჯი აუცილებლად უნდა იყოს არსებული იუსტიციის საბჭოს, როგორც სრულად ნდობადაკარგული ორგანოს შეცვლა.** იქამდე უნდა შეწყდეს ამ საბჭოს მიერ სასამართლოების დაკომპლექტება. აქაც, საარჩევნო ადმინისტრაციის მსგავსად, ნებისმიერი რეფორმა უნდა მოიცავდეს დღევანდელი თუ მომავალი ოპოზიციის იგნორირების შეუძლებლობას მართლმსაჯულების სისტემის ფორმირებისას.

### ძალაუფლების გადანაწილება პარლამენტში

**ოპოზიციის ინტერესშია არა დღევანდელ პარლამენტში კონკრეტული თანამდებობების დაკავება, არამედ ზოგადად ტრადიციის შექმნა საპარლამენტო კონტროლში ნებისმიერი ოპოზიციის ეფექტიანი მონაწილეობისთვის.**

* * *

**სწორედ ამ პუნქტებში ჩამოყალიბებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი რეფორმების გასატარებლად და დღევანდელ მთავრობასთან შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ვართ მზად, შევიდეთ დღევანდელ პარლამენტში,** — აცხადებს ოპოზიცია.

## რედაქციისგან!

ძვირფასო ხელისუფალნო! ოპოზიციისგან შეურაცხყოფილი ათასობით მკითხველის სახელით ერთ მარტივ გამოსავალს გთავაზობთ: ოპერატიულად დააანონსეთ მინიმუმ 50000-კაციანი „მშვიდობიანი“ მიტინგი პარლამენტის შენობის წინ და შეასმინეთ ქვეყნის სამარცხვინო ოპოზიციას „ოცნების“ მხარდამჭერების ერთადერთი მოთხოვნა: ყველა იურიდიული ნორმის დაცვით გააუქმეთ ქართველი ხალხის მტერი ნაციონალური მოძრაობა! ვიდრე ერთმნიშვნელოვნად ცოდვილი, კრიმინალური ბანდა და მისი ბელადი მიხეილ სააკაშვილი „ცოცხალია“, საქართველოს მოსვენება და წინსვლა არ უწერია!



როცა უკან მეწყერია!..

# „სიჩას ესტ, ა სიჩას ნეტუ?“

**გამოჩენილი ჩეხი იუმორისტი მწერლის კარელ ჩაპეკის ერთ მოთხრობაში პარადოქსული სიუჟეტი ვითარდება: ერთი ქარაქუცა მწერალი თავგამოდებით ევედრება კრიტიკოსს — რა იქნება, ჩემს ბოლო რომანზე ისეთი მწვავე რეცენზია გამოაქვეყნო, ქვა ქვაზე არ დარჩესო!**

ქარაქუცას ჩანაფიქრი არც ისე შტერულია; მკითხველი გაიფიქრებს, ნეტავი, ასეთი რა უბედურება დაუწერიაო! — დაიტაცებენ და პოპულარულიც გავხდებიო.

ვერ გეტყვით, ბ-ნ ნიკანორ მელიას სწორედ ჩაპეკის მოთხრობამ უბიძგა თუ არა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ იმდენი კი ქნა, რომ პატიმრობა „ზაპროსტო“ გაიჩალიჩა! ხოლო, ზოგიერთი ამერიკელი სენატორის აზრით, პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარის საპყრობილეში გამოკეტვა წმინდა წყლის ანტიდემოკრატიული ქმედებაა და დიქტატურის სუნიც ასდისო.

ფაქტია, რომ ბ-ნმა მელიამ დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მოსამართლემ დიახაც გაითვალისწინა მისი, როგორც პოლიტპარტიის თავმჯდომარის პოზიცია და, გირაოს სახით, მხოლოდ ორმოციათასი ლარის გადახდა დააკისრა.

მაგისი მჭამელი იყო ბატონი ნიკანორი?! ორმოცი კი არა, ოთხმოცი ათასი ლარი იქით რომ მიეცათ, „კუტუზკიდან“ ფეხს მოიცვლიდა? როგორც მისი პოლიტიკური მოძღვარი ქადაგებს, პოლიტიკოსის „გმირობა და მამაცობა“ ციხეში ჯდომააო! — ისიც „გმირობს და მამაცობს“, მაგრამ, ამასობაში, სხვა ამერიკელ სენატორთა აზრით, სამაჯურის დემონსტრაციულად მოსროლა და ქადილი — თუ მაგრები ხართ, სინჯეთ ერთი და დამიჭირეთო! — სახელმწიფოს აბუჩად აგდება და დასჯადიაო.

ეს ერთი. ახლა მეორეც.

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, ეუთოს დასკვნით, კონკურენტულ გარემოში და ფუნდამენტურ უფლებათა სრული დაცვით ჩატარდა!..

გაერთიანებული ოპოზიცია კი დაბეჯითებით აცხადებს, არჩევნები პირწმინდად გაყალბდაო!

ბატონი სენატორები ეუთოს დასკვნას ეყრდნობიან და 150-დან 60 ოპოზიციონერ დეპუტატს ერთსულოვნად მოუწოდებენ — შევიდნენ პარლამენტში და შეუდგნენ საკანონმდებლო მოღვაწეობას, რაც, თავისთავად, მწვავე პოლიტიკური კრიზისის (თუმცაღა, საკმაოდ ხელოვნურის!) განმუხტვის ტოლფასი იქნება.

ახლა კი, გაკვრით, პატივცემულ მედიატორთა მცდელობებზე, რათა რამენაირად და, ბოლოს და ბოლოს, ეღირსოს ქვეყანას დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეთანხმება.

გვეპატიოს კადნიერება, მაგრამ ტაქტიკას, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ, ფუჭ შედეგამდე მივყავართ: ორივე მხარემ დათმოს, რაც დასათმობია, რა პრეტენზიებიც ერთმანეთის მიმართ გააჩნიათო! ამასთანავე, არ ავიწყდებათ შეხსენება, რომ ხელისუფლებას მეტი მოეთხოვება, რადგან მას რესურსიც მეტი აქვთო!

ამ „მეტ მოთხოვნაში“ რომ ვადამდელი არჩევნები იგულისხმება, ვინაა, რომ ამას ვერ ხვდებოდეს!

კი ბატონო, ხელისუფლებას მართლაც მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ (ოხ, ეს ოხერი „მაგრამ“), საკითხავია, ვის წინაშეა იგი პასუხისმგებელი? რაღა თქმა უნდა, ელექტორატის, უფრო მარტივად — ამომრჩევლების წინაშე! და აი, აქ ვაწყდებით კლდეს, რომლის წინაშეც უძლურნი ვართ (თანაც, უკან მეწყერია!): ამომრჩეველთა უმრავლესობამ „კონკურენტულ გარემოში“ (და, მერე, როგორც ტექსტშია!) ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“ (იხ. ეუთოს საბოლოო დასკვნა).

ასე რომ, დიდად პატივცემულო მედიატორნო! „არც მწვადის და არც შამფურის“ მეტაფორა ამ კონკრეტულ კრიზისულ სიტუაციაში ნამდვილად არ გამოგადგებათ!



როგორ არ გაგახსენდება ყოველივე ამის მომსწრეს, გენიალური სერგო ზაქარიაძის გმირის გაოგნებული რეპლიკა „ჯარისკაცის მამაში“: „კაკ, სლუში, სიჩას ესტ, ა სიჩას ნეტუ?!“

**გიზო ზარნაძე**

**P.S.** **ერთი სული მქონდა, დამატებით, კიდევ ერთი სცენა გამეხსენებინა დიდი მიხეილ ჭიაურელის კინოშედევრიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, როდესაც გამაძღარი და ღვინით გაჟღენთილი სოფლის მოსამართლე უპასუხებს გოგიას: (პატარძალი) „ჰო, გეკუთვნის... მაგრამა, არ გეკუთვნის!“**

**მაგრამ, მერე „გადავიფიქრე“...**

**გ. ზ.**

გვეხმაურებიან



# თქვენ გვერდით გვიგულეთ ბრძოლის წინა ხაზზე

**დღეს, როცა ჩვენს საზოგადოებაში ურთიერთდაპირისპირება, გაუტანლობა, დაქსასულობა, მტრობა და უზნეობა მძლავრობს, ეგრეთ წოდებული ოპოზიცია კი ქვეყნის საზიანოდ ყალყზეა შემდგარი, მაშველი რგოლის მნიშვნელობა აქვს ხსნის მოლოდინში თითოეულ სიტყვას და ქმედებას. ამიტომ უაღრესად დასაფასებელია აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის „საჯარო წერილი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს“, რომელიც გამოქვეყნდა 26 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.**

არგუმენტირებულად, პროფესიულ-მეცნიერული ანალიზით ავტორმა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა საშიშროებაზე, რაც განადგურებით ემუქრება ჩვენს ეროვნულობას და სახელმწიფოებრიობას, იდენტურობას, ტრადიციებს, ოჯახის სიწმინდეს, მომავლის იმედს, მრწამსს და რწმენას. ბედნიერებაა, რომ გვყავს პირუთვნელად მართალი სიტყვის მთქმელი, წმინდა სულის და გულის ასეთი ერისკაცი და, რაც მთავარია, გვყავს თქმულის კარგად გამგონ-გამგები ქვეყნის თავკაცი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი. მის სიტყვასა და საქმეში აშკარად მოგვესმის მოწოდება-შეძახილი: „სდექ მტკიცედ და შეურყევლად“! დიახ, ერთად და მედგრად დგომით, საერთო ეროვნული სული გაგვაერთიანებს და გაგვაძლიერებს, ჩვენთვის შესაფერის ღირსეულ ადგილს გვაპოვნინებს მსოფლიო გლობალიზაციის ბედუკუღმართ ორომტრიალში. ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაგვიმძაფრა დიდი ილიას წუხილი ერზე და სამშობლოზე და ამ განცდით მოგვიწოდებს გამოღვიძება-გამოფხიზლებისკენ!

ერს სჯერა თქვენი, ბატონო ირაკლი, რადგან გულწრფელი და ალალი, ამავე დროს უშიშარი შეუპოვარი, პრინციპული ბრძანდებით ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დაცვაში. თქვენ ომობთ და თქვენ გვერდით ბრძოლის წინა ხაზზე გვიგულეთ მრავალგანსაცდელ გამოვლილ ქვეყნის სიყვარულით შეაბჯრული, ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული საქართველოს პენსიონერთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი.



**აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდის“ სახელით**

**გურამ სალარაძე**



# „კულტურული რევოლუცია“

**პირდაპირ ვიტყვი — დიახ, მე მესიამოვნა თეა წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნა.**

მესიამოვნა ბევრი მიზეზის გამო, რომელთაგან ერთ-ერთი და უმთავრესი არის ის, რომ დღევანდელი საქართველო, როგორც დეპრესიულ რეგიონად გადაქცევა სწორედაც რომ აგრესიული ლიბერალების მიერ კულტურის მოსპობამ, მის „გოიმურ“ რელსებზე გადაყვანამ, ნამდვილი ფასეულობების მიმართ ბულინგმა და სხვა მრავალმა უბედურებამ გამოიწვია.

გამოიწვია იმან, რომ ნამდვილი, ჭეშმარიტი ლიტერატურის ნაცვლად თავს მოგვახვიეს „უნიტაზის პოეზია“ და ვიღაც ტიპები ისე იკუთვნებენ თიკუნს „პოეტი“ ან „მწერალი“, რომ მათი „ნაწარმოებები“ ოჯახის წევრებსაც არა აქვთ წაკითხული. გამოიწვია იმან, რომ იუმორის ნაცვლად თავს მოგვახვიეს მდაბიო, წყევლითა და ლადაობით შეზავებული იუმორი, რომლის მონაწილეებს რატომღაც „მსახიობებს“ უწოდებენ.

გამოიწვია იმან, რომ მხატვრობა და ქანდაკება მხოლოდ დილის გადაცემებში სარეკლამო თანხის გადახდის შემდეგ რამდენიმეწუთიანი საქებარი და აღფრთოვანებული პიარ-სიუჟეტის გასვლით იწყება და... აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ იმ სიუჟეტის ავტორმა ნამდვილად არ იცის ის „ღრმა ჩანაფიქრი“, რასაც „შემოქმედი“ გვთავაზობს.

გამოიწვია იმან, რომ სახელმწიფოსგან „ეროვნული ბოზები“ ფინანსდებოდნენ და ევროპაში ქართული ლიტერატურის გასაცნობად გაურკვეველი განათლების და ინტელექტის ტიპები იგზავნებოდნენ.

გამოიწვია იმან, რომ მედია გაივსო ვიღაც „მოღვაწეებით“, რომელთაგან ზოგი ე.წ. ქამინგ აუტით, ზოგი კი რაღაც ულიმღამო და უინტელექტო წამოძახილებით ცდილობს პოპულარობის მიღწევას.

გამოიწვია იმან, რომ ხელოვანის სტატუსს არა ხალხი, არამედ კულტურაზე გამწესებული დამწყები ჟურნალისტები ანიჭებენ.

გამოიწვია იმან, რომ არ არის ნამდვილი კრიტიკა. არ არის სპექტაკლის, ფილმის, გამოფენის, თუ ლიტერატურული ნაწარმოების რეალური შეფასება და არ არის ამის შესახებ კამათი. ჯანსაღი კამათი.

გამოიწვია იმან, რომ საკაშვილი მზესუმზირასავით არიგებდა რუსთაველის და სხვა უმაღლეს პრემიებს, პრეზიდენტის „ბრწყინვალების“ ორდენებს, რითაც არა მხოლოდ ფასი, არამედ ნამდვილ ხელოვანებს მათი მიღების ინტერესიც დაუკარგა.

გამოიწვია იმან, რომ მოკვდა შეხვედრები და გასტროლები რეგიონებში.

დიახ ვიცი, რომ ვთქვათ ანიტა რაჭველიშვილი დიდი მომღერალია, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვიცი მხოლოდ პრესიდან.

რამდენი კონცერტი ჰქონია ქალბატონ ანიტას (ცხადია, მხოლოდ ის არ მყავს მხედველობაში, ზოგადად ვამბობ) საქართველოს რეგიონებში?

ვთქვათ ლაგოდეხში, ან მესტიაში?

რამდენი მწერალი შეხვედრია თავის მკითხველს, გარდა ისევ „ჩარეცხილი“ მწერალთა კავშირის მწერლების გარდა?

რამდენი გამოფენა წაღებულა ტყიბულში, ან ხულოში?

ფინანსები?

კი ბატონო, ფინანსები ყოველთვის პრობლემაა, მაგრამ ზემოთ „ეროვნული ბოზები“ და ევროპაში მოგულავე „მწერლები“ ვახსენე.

არ არის საჭირო და ნამდვილად არ არის საჭირო, რომ კულტურის მინისტრი მომღერალი ან მხატვარი იყოს.

კულტურის მინისტრი უნდა იყოს მენეჯერი!!!

კარგი მენეჯერი!!!

რაც შეეხება ე.წ. შეშფოთებას იმის მიმართ, რომ წულუკიანი „ფელიქსი“, ან „ბერია“ იქნება, უბრალოდ მინდა ამ შეშინებულებს ვუთხრა — თუ ნამდვილი ხელოვანი ხარ, ვინაა შენთვის მინისტრი?

წერე, ხატე, დაუკარი, შექმენი შედევრი. შექმენი და შენ ნაღვაწს მინისტრი კი არა, ხალხი დაგიფასებს.

ნამდვილად არ ჩამოვთვლი იმ დიდ შემოქმედებს, რომლებიც ქმნიდნენ და საერთოდ არ აინტერესებდათ არამც თუ მინისტრის გვარი, არამედ ქვეყნის პირველი პირი ვინ იყო, ისიც არ იცოდნენ.

არ იცოდნენ და სწორედ მაგიტომ დარჩნენ ისტორიაში როგორც დიდი შემოქმედები. დიდი შემოქმედები და არა „წითელი, მწვანე, თეთრი“ და სხვა ფერის „ინტელიგენტები“.

კულტურის მინისტრს კი სხვა უამრავი საქმე აქვს, რომელთაგან უმთავრესი ისტორიული, თუ კულტურის მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენაა.

უმთავრესი წიგნებზე, კონცერტისა თუ სპექტაკლის ბილეთებზე ხელმისაწვდომობაა.

რეგიონებში ღირსეული ხელოვანებისთვის, ახლაგაზრდებისთვის ხელშეწყობა და მათს პოპულარიზაციაზე ზრუნვაა.

გარკვეულწილად დარგობრივი ჟურნალების გამოცემაა, სადაც ზემოთ ნათქვამი კომპეტენტური, ობიექტური კრიტიკა და ცხადია, ქებაც იქნება.

უამრავი რამ შეიძლება ითქვას ქართული კულტურის დღევანდელ სავალალო მდგომარეობაზე. უამრავი რამ და, ეს ყველაფერი თქვენც კარგად იცით.

რაც შემეხება მე, უბრალოდ ერთი ჩემი აწ გარდაცვლილი მეგობრის სიტყვებს გავიხსენებ, რომელიც ერთ-ერთი პოლიტიკოსის დაწინაურებაზე ჩემს მიერ გამოთქმული აღფრთოვანების გამო მითხრა — ნუ ღელავ, გაბრო, ჩვენ ყველა ხელისუფლება დაგვიჭერსო.

არადა, თეა წულუკიანის დანიშვნა მართლა მესიამოვნა.

ამ სტატიას (და არა სტატუსს) ჩემს რეგალიებსაც მივაწერ, რომ არ იფიქროთ ვიღაც „ფრაერი“ წერსო:



**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, მწერალთა კავშირის წევრი, სერგეი მესხისა და ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, „ოქროს ფრთის“ მფლობელი**

**გია გაბრიჭიძე**



# რა შექმნის საფრთხეს ქართველი ერის რეპუტაციას?!

**მიხეილ სააკაშვილი შინ და გარეთ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისთვის რუსეთის საიდუმლო სამსახურების ტექნიკას იყენებს. ამ შინაარსით აქვეყნებს სტატიას გამოცემა „ბრასელს მორნინგი“, სადაც აღნიშნულია, რომ ქართველ და უკრაინელ პოლიტიკოსს წლების განმავლობაში პროდასავლელ რეფორმატორად იცნობდნენ და სტატიის მიზანი სწორედ მისი სურათის დახატვაა.**

სტატიის თანახმად, მაშინ როდესაც ევროკავშირის მედიატორები თბილისში არსებული პოლიტიკური ჩიხის მოსაგვარებლად ბრუნდებიან, მიხეილ სააკაშვილისა და მისი „ნაციონალური მოძრაობის“ მეთოდების მიმოხილვა სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს. სტატიის ავტორი წერს, რომ სასურველია სიფრთხილე, რათა თავიდან ავიცილოთ დემოკრატიული უკუსვლა და მნიშვნელოვანი ეტაპების დაკარგვა, რომლებიც მიღწეულია 2020 წლის საქართველოს არჩევნებში.

„ბრასელს მორნინგი“ წერს, რომ საბჭოთა და ახლა რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ისტორია წარმოადგენს „პროვოკაციის“ უნიკალური რუსული ან საბჭოთა ტრადიციის მუდმივ დახვეწას. **„პროვოკაციებში ყველაზე ცნობილია ლენინის ჩეკას „ნდობა“ დასავლური ძალების მოტყუებისთვის, რომ ბოლშევიზმი სუსტი და გახრწნილია, იმ დროს, როდესაც მონარქისტების მოწინააღმდეგეები ძლიერდებოდნენ. ეს იყო პროტოტიპური საბჭოთა სტრატეგიული მოტყუების ოპერაცია, რომლის ისტორია დღემდე რჩება რუსეთის სადაზვერვო სამსახურების სასწავლო გეგმის შემადგენლობაში“,** — წერს ავტორი.

გამოცემის მიხედვით, დღეს საქართველოში ამ ტრადიციას რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორი სერგეი ნარიშკინი და მანიპულაციური ოპოზიციის ლიდერი, უკრაინაში მცხოვრები საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და მისი ხმა საქართველოში ნიკა მელია ავითარებენ.

**„მელიამ პარლამენტზე შტურმი მიიტანა 2019 წლის ივნისში, რომელსაც აშშ-ში ამბოხებას ვუწოდებთ, შემდეგ დააკავეს და სასამართლოს მიერ დანიშნული თვალთვალის მოწყობილობა გაწყვიტა. მელია არის მუდმივად მანიპულირებელი მიშა სააკაშვილის ერთგული ადამიანი, რომელიც ფაქტობრივად აღარ არის საქართველოს მოქალაქე, მაგრამ, როგორც ჩანს, მან აითვისა პროვოკაციის ეს მშვენიერი ხელოვნება საკუთარი მიზნებისათვის“,** — აღნიშნულია სტატიაში.

**გამოცემის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნული გაკვეთილები შესაძლოა, ახალგაზრდობაში, უკრაინაში, „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის“ საზღვრო დაცვაში სამსახურისას ჩაიბეჭდა გულში და ცნობილია, რომ სურს, საქართველოში ძალაუფლება ნებისმიერი საშუალებით ჩაიგდოს ხელში. სტატიის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი ახლა ცდილობს, უნარები ნებისმიერი ადამიანის დაშანტაჟებისთვის გამოიყენოს და სამწუხაროდ, ეს ხორციელდება სხვა ოპოზიციური პარტიების და თუნდაც მისი ზოგიერთი დასავლელი მხარდამჭერებისა და ანაზღაურებადი დამხმარეების საშუალებით.**

სტატიის ავტორი მიხეილ სააკაშვილის ქმედებას ტრამპის მსგავს პროვოკაციას ადარებს და წერს, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებამდე სააკაშვილმა იცოდა, რომ მისი კოალიცია დამარცხების გზაზე იდგა, შექმნა ყალბი განწყობა და ტრამპის ცნობილი ფრაზის, „შეაჩერე ქურდობის“ საკუთარი ვერსია წარადგინა.

სტატიის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც სამთავრობო სააგენტოების უკანონო ქმედებებზე საუბრობდა, უნდა ფიქრობდეს მის მიერ წარსულში კონტროლირებულ „კონსტიტუციის დაცვის დეპარტამენტზე“, რომელიც 2012 წელს „ქართული ოცნების“ კოალიციის 50-ზე მეტ კომპიუტერს მიკროფონებისა და ვიდეოკამერების საშუალებით უსმენდა.

**„სინამდვილეში, მთავრობის მიერ პანდემიის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლამ მათი გამარჯვება უზრუნველყო. იგი მალევე მოუწოდებდა დიდი სუპერ გამავრცელებელი მიტინგებისკენ პანდემიის წინააღმდეგ, არღვევს შეკრების შეზღუდვებს, რაც ტრამპის სტილშია. ამ არჩევნებმა ძალზე წარმატებით ჩაიარა ახალი ორმხრივად შეთანხმებული რეფორმების განხორციელებით, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს მცირე პოლიტიკური პარტიების უფრო მრავალფეროვან წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტში. ეუთო-მ აღიარა, რომ პარლამენტის წარმომადგენლობის ერთ პროცენტზე შემცირებულმა ზღურბლმა გაზარდა წინასაარჩევნო გარემოს კონკურენტუნარიანობა და ბევრი ახალი პარტია პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის“,** — აღნიშნულია სტატიაში.

გამოცემა აღნიშნავს, რომ არჩევნების მიხედვით, საქართველოს პარლამენტში ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ბევრი პოლიტიკური პარტია მოხვდა, მაგრამ ოპოზიცია პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობს, ეს ვითარებას ამწვავებს, **რაც უფრო მეტად საბჭოთა პროვოკაციის ტრადიციაა, ვიდრე დასავლური დემოკრატიის მეთოდი.**

**„ოპოზიცია, რომელიც გამოცდილია რუსეთის კგბ-ს ე.წ. პროვოკაციაში, კომპრომისზე უარს ამბობს და ქვეყანას საეჭვო მდგომარეობაში აყენებს პარლამენტის ბოიკოტით, რაც ახლა საფრთხეს უქმნის ერის მთელ რეპუტაციას, რომელმაც ყურადღებით შეიმუშავა თავისი დემოკრატიული შესაძლებლობები მნიშვნელოვანი გამოწვევების ფონზე. ამ უარს მართავს და ხელმძღვანელობს უკრაინის მოქალაქე, რომელიც მიზნად ისახავს სიტუაციის შეცვლას ისე, როგორც ეს არ შეესაბამება ქართველი ხალხის ინტერესებს. როდესაც პრეზიდენტი პუტინი და თავდაცვის მინისტრი შოიგუ სადილობენ კამერების წინ ციმბირში, დისკუსიები უდავოდ მოიცავს იმას, თუ როგორ ჯდება საქართველო მათ გეგმებში. რა თქმა უნდა, ისინი განიხილავენ რეფლექსური კონტროლის ოპერაციის წარმატებას, რასაც 2008 წლის ომი მოჰყვა. კითხვა ის არის, ისინი უკრაინაში სააკაშვილთან ერთად კიდევ ერთ რეფლექსურ კონტროლზე მუშაობენ? ოპოზიციის პროვოკაციული საქციელი, სათავეში მყოფი ახალი სამთავრობო გუნდი და ევროკავ-**



**შირის შუამავლობა, უეჭველია, ფაქტორი იქნება რუსეთის სადაზვერვო ვარიანტების აქტიურ ზომებში“,** — აღნიშნულია სტატიაში.

სტატიის მიხედვით, ახლა რუსეთის გეგმების შეზღუდვის დროა და დეპუტატები პარლამენტში უნდა შევიდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება შესანიშნავი მოედანი რუსული ბოროტების ოპერაციებისთვის.

**„პროვოკაცია“ უნდა დასრულდეს ყოველგვარი სხვა მოთხოვნების გარეშე. დასავლეთის ხელმძღვანელობამ არ უნდა დაუშვას, რომ ეს გაგრძელდეს. ეს არის არალიბერალური და არადემოკრატიული. ეს არის ლაკმუსის ტესტი იმისა, რომ ყველა მხარე მზად არის, შეასრულოს თავისი როლი პოლიტიკაში და არ ჩაერთოს დაუსრულებელ ქუჩურ ბრძოლებში და დემონსტრაციებში, არ გაანადგუროს საქართველოს რეპუტაცია და შესაძლებლობა, მოიზიდოს ტურისტები, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისთვის“,** — წერს სტატიის ავტორი.

1TV.GE



# ქართულმა მაფიამ „უკრაინის რკინიგზა“ გაძარცვა!!!

**„ქართულმა მაფიამ „უკრაინის რკინიგზა“ გაძარცვა“, — ამ სათაურით სტატიას უკრაინული გამოცემა Obozrevatel-ი აქვეყნებს.**

სტატიაში აღნიშნულია, რომ უკრაინის ეკონომიკას სატრანსპორტო კოლაფსი ემუქრება, კერძოდ, მარტის ბოლომდე კომპანია Ernst&Young-ის აუდიტორები „უკრაინის რკინიგზას“ ტექნიკურ დეფოლტს გამოუცხადებენ, 31 მარტიდან კი დაგეგმილია „უკრაინის რკინიგზის“ თანამშრომელთა გაფიცვა.

„პერსონალურ პასუხისმგებლობას ამაზე პარლამენტის მიერ შექმნილი კომისიის თავმჯდომარე იულია გრიშინა მიხეილ სააკაშვილის პროტეჟეს, „უკრაინის რკინიგზის“ ხელმძღვანელს ვლადიმერ ჟმაკს აკისრებს. მას შემდეგ, რაც პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნა, სააკაშვილი პირდაპირ ეთერში დეპუტატებს ესხმის თავს.

„უკრაინის რკინიგზის“ 250 000-ზე მეტი თანამშრომელი და მათი ოჯახები შეშფოთებული არიან იმით, რომ კომპანია გაკოტრებულად გამოცხადდება. კრიტიკული სიტუაციის გამო 30 000-ზე მეტმა თანამშრომელმა შესაძლოა საარსებო წყარო დაკარგოს. მათ საკუთარი უკმაყოფილება მთავრობის ადმინისტრაციასთან, საპროტესტო აქციაზე გამოხატეს.

უკრაინის სატრანსპორტო მონოპოლიას მთელი ძალით ფინანსურ სამარეში აგდებს მიხეილ სააკაშვილის გუნდი: მისი თანაკურსელი, „უკრაინის რკინიგზის“ ხელმძღვანელი **ვლადიმერ ჟმაკი,** რომელიც ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის მუშაობისას მისი პირველი მოადგილე იყო და წელიწადში 5 მილიონ გრივნას იღებს, და „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი ხელმძღვანელი **ირაკლი ეზუგბაია,** რომლის საქართველოში მუშაობასაც ასევე მოჰყვა რკინიგზელთა გაფიცვა და მასობრივი სახელფასო დავალიანებები.

უკრაინაში ირაკლი ეზუგბაიამ ყველაზე მომგებიანი სექტორები აითვისა, როდესაც კონტეინერების მთელი პარკი მისსავე შექმნილ კომპანიას გადაუფორმა. სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლას შეეძლო 6-ჯერ მეტი მოგების მოტანა და სამგზავრო სექტორის კოლოსალური ზარალის დაფარვა, ირაკლი ეზუგბაიას ფასები საბაზრო ფასებზე 5-ჯერ უფრო დაბალ ნიშნულზე რომ არ გაეჩერებინა.

რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ანდრეი რიაზანცევი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო და კომერციულ ტარიფს შორის არსებული 500%-იანი სხვაობა მექრთამეთა ჯიბეებში მიდის. ამასთანავე, „უკრაინის რკინიგზაში“ არსებული კრიმინალის გამოძიება არ ხდება არც შსს-ში და არც გენპროკურატურაში. ყველა საქმე მიდის ანტიკორუფციულ ბიუროში, სადაც ამ საქმეებს ფარცხავენ გენპროკურორის მრჩეველი **ზურაბ ადეიშვილი,** ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე **გიზო უგლავა** და უფროსი დეტექტივი **დენის გიულმაგომედოვი.**

**დეპუტატ იულია გრიშინას განცხადებით, ყველა გასაჯაროებული მასალა ვლადიმერ ჟმაკისა და ირაკლი ეზუგბაიას ფინანსური მაქინაციების შესახებ დეტალურად იქნება გამოძიებული საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის ფორმატში.**

**მსოფლიოში კოვიდვაქცინის ერთჯერადი დოზა 25 მარტის მდგომარეობით პლანეტის მოსახლეობის 6.3%-ს, ანუ 490 მლნ ადამიანს აქვს გაკეთებული. საქართველოში ეს მაჩვენებელი ოდნავ აღემატება 0.1%-ს და რაოდენობრივად 4152-ს შეადგენს. თუ მსოფლიოში ვაქცინირულ პირთა რაოდენობა ინფიცირებულთა რიცხვს 3.92-ჯერ აღემატება. საქართველოში 67-ჯერ ჩამორჩება, რისი მიზეზიც აცრების პროცესის დაგვიანებით დაწყებასთან ერთად ვაქცინაციის მიმართ უკიდურესად დაბალი ნდობაა.**




# საქართველოში ვაქცინაციის ტემპი მსოფლიო მაჩვენებელს 263-ჯერ ჩამორჩება!

**პროცენტულად ყველაზე მეტი — 114% ისრაელშია აცრილი. (რადგან ვაქცინა ორდოზიანია, ვაქცინირებულთა რაოდენობამ 100%-ს გადააჭარბა). მეორე ადგილზე 77%-ით არაბთა გაერთიანებული საამიროებია. სამეულს 47%-ით ჩილე ასრულებს. ევროპაში 46%-ით დიდი ბრიტანეთი ლიდერობს. შეერთებული შტატები კი 130 მლნ ვაქცინირებულით რაოდენობრივადაა პირველ ადგილზე. აშშ-სთან შედარებით ჩინეთში 47 მლნ-ით ნაკლები, 83 მლნ ადამიანია აცრილი, ინდოეთში კი — მხოლოდ 53 მლნ.**

ვაქცინირებულ პირთა რაოდენობა მოსახლეობის 20%-ს აღემატება მონაკოში, ბაჰრეინში, მალდივებზე, უნგრეთში, ყატარში, სერბეთსა და მალტაში. 10%-ს — მაროკოში, სინგაპურში, ესტონეთში, ისლანდიაში, დანიაში, თურქეთში, ლიეტუვაში, ფინეთში, სლოვაკეთში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, გერმანიაში, შვედეთში, ირლანდიაში და ევროპის უმეტეს ქვეყანაში.

საქართველოს მეზობლებიდან ყველაზე მეტი — 16.7% თურქეთშია აცრილი, 7.6%-ით მეორეზე რუსეთია, აზერბაიჯანში კი ვაქცინა მოსახლეობის 4.7%-ს აქვს გაკეთებული. სომხეთის მაჩვენებლი საქართველოს მსგავსად ourworldindata-ს ბაზაში არ იძებნება. კონტინენტების მიხედვით ჩრილოეთ ამერიკაში — 24%-ა აცრილი, სამხრეთ ამერიკაში — 7.2%, ევროპაში — 14.5%, აზიაში — 4.3%, აფრიკაში — 0.7% და ავსტრალიაში — 1.3%.

**რამდენად იმუშავა ვაქცინამ?**

**თუ ისრაელში იანვარში დღიური დადებითობის მაჩვენებელი 8-9 ათასს აჭარბებდა, 24 მარტს მხოლოდ 339 შემთხვევა აღირიცხა. გარდაცვლილთა რაოდენობა 60-70-დან 10-12-მდე შემცირდა. ბრიტანეთში ინფიცირების ყოველდღიური ზრდის ტემპი 50 000-დან 5500-მდე შემცირდა, გარდაცვლილთა დღიური მაჩვენებელი — 1200-1500-დან 100-მდე. შეერთებულ შტატებში კი ინფიცირებულთა რაოდენობა — 240 000-დან 60 000-მდე, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობა — 4400-დან 1200-მდე შემცირდა.**

მართალია, შემოდგომაზე ინფიცირებულთა რაოდენობის მკვეთრ მატებას მეორე ტალღა დაერქვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზაფხულში შემთხვევები შემცირებული იყო. თუ 2020 წლის აპრილში მსოფლიოში 2.5 მლნ ახალი შემთხვევა გამოვლინდა, ივნისში ეს რიცხვი 4.8 მლნ-მდე გაიზარდა, აგვისტოში კი — 8 მლნ-მდე. დღიური დადებითობის მაჩვენებელი აპრილ-მაისში 80-100 ათასის ფარგლებში მერყეობდა, ივლის-აგვისტოში 250 000-ს გადააჭარბა. ოქტომბერ-ნოემბრიდან უბრალოდ ზრდის ტემპი დაჩქარდა და 8 იანვარს პიკს 845 358-ს მიაღწია. ასევე იანვარში გადააჭარბა გარდაცვლილთა დღიურმა რაოდენობამ 2-ჯერ 17 000-ს. რეკორდი — 17 638 კი 20 იანვარს აღირიცხა. იანვრის მეორე ნახევრიდან მარტამდე შეინიშნებოდა როგორც ინფიცირების ახალი შემთხვევების, ასევე გარდაცვლილთა რაოდენობის კლება. მარტიდან კი ისევ მცირე ტემპით მატება დაიწყო.

**პანდემიამ უკან დაიხია საქართველოშიც. ნოემბერსა და დეკემბერში ინფიცირებულთა რაოდენობამ 90 000-ს გადააჭარბა, თებერვალში — 13 000-ს, მარტის პირველი 25 დღეში კი 10 000-ს ჩამოსცდა, თუმცა მიზნის მიღწევა ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდა. 2020 წლის 6.2%-იანი ეკონომიკური ვარდნის შემდეგ, იანვარში მშპ კიდევ 11.5%-ით შემცირდა.**

საქართველოში ვაქცინაცია საკმაოდ გვიან 15 მარტიდან ბრიტანული astrazeneca-თი დაიწყო. 18 მარტს ახალციხეში ვაქცინიდან რამდენიმე წუთში 27 წლის ექთან მეგი ბაქრაძეს სავარაუდოდ ანაფელაქსიური შოკი განუვითარდა, რის შედეგადაც მეორე დღეს თბილისში საუნივესიტეტო კლინიკაში გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. ტრაგიკულმა შემთხვევამ ვაქცინის მიმართ ისედაც დაბალი ნდობა კიდევ უფრო შეამცირა.

ქვეყანაში ანტივაქსერული განწყობა აცრების დაწყებამდეც ძლიერი იყო. თებერვალში NDI-ის მიერ გამოკითხულ პირთა მხოლოდ 35% აცხადებდა ვაქცინაზე თანხმობას, 53% კი წინააღმდეგი იყო. მოწინააღმდეგეთა სპექტრი ფართოა, ნაწილი დაჩქარებულად დამტკიცებულ ვაქცინას არ ენდობა, ნაწილი ყველა ვაქცინის წინააღმდეგია. ზოგს კონკრეტულად „ასტრაზენეკა" არ მოსწონს და ამერიკულ „ფაიზერს" ელოდება. უფრო ადრე ეს ადამიანები ჩინური ვაქცინის შესაძლო იმპორტს აპროტესტებდნენ. ასევე არსებობენ შეთქმულების თეორიის მომხრეები, ადამიანები რომლებსაც სჯერათ, რომ ვაქცინა აბორტირებული ბავშვის უჯრედებს შეიცავს, დნმ-ს ცვლის, მოგონილია კაცობრიობის რაოდენობის გასანახევრებლად ან სულაც დასაჩიპად.

მიუხედავად იმისა, რომ დაავადებათა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, საქართველოს პრეზიდენტი და ჯანდაცვის მინისტრი პირდაპირ ეთერში აიცრნენ, სოციალური ქსელის მომხმარებელთა ნაწილი ამტკიცებდა, რომ „astrazeneca" მხოლოდ წარწერა იყო და შუშაში სინამდვილეში სხვა სითხე ესხა.

ახალციხეში მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ ანტივაქსერული განწყობა კიდევ უფრო გაამძაფრა. ვაქცინაციის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ საქართველოში მხოლოდ 4152 ადამიანია აცრილი. აცრაზე უარს თვით მედიკოსებიც კი აცხადებენ. ეპიდემიოლოგთა განცხადებით, მიუხედავად იმისა რომ არსებობს გარკვეული რისკები ვაქცინის დადებითი მხარეები უარყოფითს ბევრად აღემატება და უმოქმედობის შემთხვევაში კოვიდი გაცილებით მეტ ადამიანს მოკლავს ვიდრე ვაქცინა, თუმცა მოწოდებები დიდწილად ისევ მოწოდებებად რჩება.

**მსოფლიოში ვაქცინერულ პირთა რაოდენობა ინფიცირებულთა რიცხვს 3.92-ჯერ აღემატება. საქართველოში კი 67-ჯერ ჩამორჩება. ანუ საქართველო ვაქცინაციის ტემპით მსოფლიოს 263-ჯერ ჩამორჩება. საქართველოში რომ ვაქცინაციის ტემპი იმ პროპორციით მიდიოდეს, რაც მსოფლიოშია ახლა 1.1 მლნ ადამიანი უნდა იყოს უკვე აცრილი.**

25 მარტიდან pfizer-ით აცრები დაიწყო, მისდამი ნდობა შედარებით მაღალია, მაგრამ რაოდენობა შეზღუდულია, შემოტანილია მხოლოდ 29 250 დოზა, რაც დანაკარგების გამორიცხვითაც კი მხოლოდ 14 625 ადამიანისთვისაა საკმარისი.

ინფექციური პათოლოგიისა და შიდსისს ცენტრის გენერალური დირექტორი თენგიზ ცერცვაძე იმედებს „ნოვა ვაქსზე" ამყარებს. მისი თქმით „ნოვა ვაქსი" ტრადიციულ მეთოდზე ცილებზეა დამზადებული და არა რნმ-ზე. აღნიშნული ვაქცინის მილიონ დოზას საქართველოში ივნისში ელოდებიან.

21 იანვარს მთავრობამ ვაქცინაციის ეროვნული გეგმა დაამტკიცკა, რომლის მიხედვითაც წლის ბოლომდე 18 წელს გადაცილებულ პირთა 60% — 1.7 მლნ ადამიანი, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 45% უნდა აიცრას.

ვაქცინაციის ბიუჯეტი 64 მლნ-დან 158 მლნ ლარამდე მერყეობს. ასეთ დიდ შუალედს მთავრობაში სხვადასხვა ვაქცინის ღირებულებათა შორის სხვაობით ხსნიან.

გეგმა თეორიულად შესრულებადია, მაგრამ არა ამ ტემპით. მსურველთა ნაკლებობის გამო მთავრობამ უკვე დაუშვა 65 წელს გადაცილებულ პირთა რეგისტრაციაც, თუმცა აქტივობა ამ შემთხვევაშიც დაბალია. პოპულარიზაციის მიზნით ეპიდემიოლოგები საზოგადოებისთვის ცნობადი სახეების საჯაროდ აცრას გეგმავენ. განიხილებ, ასაკობრივი ცენზის საერთოდ გაუქმების ვარიანტიც. მიუხედავად იმისა, რომ თებერვლიდან კოვიდშეზღუდვები შემსუბუქდა, კვლავ ძალაში რჩება ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაცრი და ბევრისთვის არაკონსტიტუციური კომენდანტის საათი, რომელიც ფორმით შეიძლება შინაპატიმრობას გაუთანაბრდეს. 13 მარტიდან სავაჭრო ცენტრებს შაბათ-კვირას მუშაობის უფლება მისცეს, მაგრამ ეს წესი რესტორნებზე არ გავრცელებულა. პირბადე ქუჩაშიც კი სავალდებულოა. შეზღუდვების ნაწილობრივად მოხსნის ფონზე ბოლო დღეებში მცირედით გაზრდილია დადებითობის პროცენტული მაჩვენებელი, რის გამოც რეგულაციები ხელახალი გამკაცრება უკვე ოფიციალურად განიხილება.

XIX-XX საუკუნეებში ვაქცინამ ყვავილი, პოლიომელიტი და სხვა ისეთი დაავადებები დაამარცხა, რომელიც წარსულში ათობით მლნ ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდებოდა. დღემდე ცოფის პრევენციის ერთადერთ საშუალებად ვაქცინა რჩება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვირუსის სიმპტომური გამოვლინების შემდეგ სიკვდილიანობა 100%-ს შეადგენს და თითოეული შემთხვევა ლეტალურად სრულდება.

**Covid 19 არც ყვავილია, არც შავი ჭირი, არც პოლიომელიტი, არც ცოფი და არც ესპანური გრიპი. მისი სიკვდილიანობის რეალური მაჩვენებელი, ასიმპტომური პაციენტების რაოდენობის გათვალისწინებით, ბევრად უფრო დაბალია და დაახლოებით 0.5%-ს შეადეგენს. საქართველოს მოსახლეობა 3.7 მლნ-ია და მისი 0.5% შესაბამისად 18 500-ს უდრის. მასობრივი ვაქცინაციის პირობებში შესაძლო უბედურ შემთხვევათა რაოდენობა ამ რიცხვთან მიახლოებულიც კი ვერ იქნება. ადამიანები იღუპებიან ავტოკატასტროფებში, მაგრამ არ კრძალავენ მანქანებს, ყოფილა შემთხვევა როცა პაციენტი ნარკოზიდან ვერ გამოსულა, მაგრამ ამის გამო ოპერაციები არ შეჩერებულა. არც მიწისძვრის შიშით შეჩერებულა ქალაქების მშენებლობა და არც კოსმოსიდან მომავალი შესაძლო საფრთხის გამო შეწყვეტილა ცივილიზაციის განვითარება.**

**კოვიდის წამალი ჯერჯერობით არ არსებობს, შესაბამისად მასთან ბრძოლის საუკეთესო გზად მასობრივი ვაქცინაცია რჩება, მეორე გზა ნაკლებეფექტიანი ლოკდაუნია, რომელიც ადამიანებს თავისუფლებას ართმევს და აღარიბებს.**

**გიორგი ელიზბარაშვილი**

**მკითხველის თხოვნით**

## ოჰ, ეს კორონა!..

ანაფილაქსია (**anaphilaxis**) — ესაა გარკვეულ ანტიგენზე ანომალიური რეაქცია, რომლის დროს ორგანიზმის ქსოვილებიდან ჰისტამინი თავისუფლდება, რის შედეგად ადამიანს ადგილობრივი ან საერთო ალერგიული რეაქცია წარმოეშვება.

ალერგიული რეაქცია კი, თავის მხრივ, ლოკალური (ანუ ადგილობრივი) ანაფილაქსიის მაგალითს წარმოადგენს. იშვიათად, თუმცა კი გაცილებით სერიოზულ შემთხვევებში, შეიძლება განვითარდეს ანაფილაქსიური შოკი. ესაა ორგანიზმის ძალიან ძლიერი საერთო ალერგიული რეაქცია, რომლის დროს უჯრედებიდან გამოთავისუფლებული ჰისტამინი შეშუპებებს, ბრონქიოლების შევიწროებას, გულის უკმარისობასა და კოლაფსს იწვევს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მას შესაძლოა ლეტალური შედეგიც მოჰყვეს.





## რა წერია სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნაში ვაშლიჯვრის მეწყერზე

# მეწყრული პროცესი აქტიურ მოძრაობაშია!

**სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს განცხადებით, ვაშლიჯვრის მეწყერი, დიდი ალბათობით, გზის მიმართულებით გადაადგილდება და ამ პროცესში თან დამატებით ნაპრალებს შექმნის.**

უწყების ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ მაჭავარიანის ქუჩის მიმდებარე ფერდობზე, კლდოვან ქანებში განვითარებულია მძლავრი კლდეზვავური ტიპის მეწყრული პროცესი.

**„დიდი ალბათობით, მეწყრული სხეულის შემდგომი გადაადგილება საავტომობილო გზის მიმართულებით, ფერდობის სხვადასხვა ნაწილში წარმოქმნის ახალ მეწყრულ ნაპრალებს და საფეხურებს. გამოკვლეულ ტერიტორიაზე განხორციელებული რამდენიმე ვიზიტის დროს, ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე გაირკვა, რომ მეწყრული პროცესი აქტიურ დინამიკაშია (დინამიკა შესამჩნევია დროის მოკლე ორდღიან მონაკვეთშიც კი), რაც მოცემულ ვითარებაში შეუქცევად ხასიათს ატარებს და ფერდობის ბუნებრივი სტაბილიზაცია მოსალოდნელი არ არის“,** — წერია დასკვნაში.

დასკვნის ავტორი მირზა მესხი მიიჩნევს, რომ **აუცილებელია, დაუყოვნებლივ შეწყდეს ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის პლატოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (მ. მაჭავარიანის ქუჩა) შესაბამის მონაკვეთზე ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა და განხორციელდეს მეწყრული პროცესის უწყვეტი მონიტორინგი (დაკვირვება) შესაბამისი მეთოდიკის მიხედვით.**

მისივე თქმით, **უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს მეწყრული პროცესის სტაბილიზირებისთვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებები, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახის დამცავი საინჟინრო ნაგებობების დაპროექტებასა და მოწყობას შესაბამისი კვლევებისა და გაანგარიშების საფუძველზე. მესხის განცხადებით, მეწყრული პროცესის სტაბილიზირებისაკენ მიმართულ ღონისძიებად შესაძლებელია, განხილული იყოს დინამიკაში მყოფი მეწყრული მასის დაშლა და გატანა, რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობა, გრუნტების მელიორაცია (ცემენტაცია) და სხვა.**

**„გამოკვლეულ უბანზე მეწყრული პროცესების წარმოქმნა-განვითარება უკავშირდება გრავიტაციულად დაძაბულად ფერდობზე მისი ამგები ქანების წონასწორობის დარღვევას, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს, როგორც ბუნებრივი, ასევე ტექნოგენური ფაქტორებით: ფერდობის დახრილობით (კლდოვანი ქანების შრის წოლის ელემენტები - — დაქანების აზიმუტი და დახრის კუთხე (052/180) თანხვედრაშია ფერდობის ექსპოციციასა და მისი ზედაპირის დახრილობასთან), ფერდობზე დინამიური დატვირთვების გაზრდით, ასევე, სხვადასხვა პერიოდში აღნიშნული მეწყრული პროცესის მიმდებარედ განხორციელებული საინჟინრო საქმიანობითა და სხვა ფაქტორებით“,** — ნათქვამია დოკუმენტში.

# წამსვლელების პირველი ჯგუფი უკვე დაკომპლექტდა



## სიახლეები გერმანიაში დასაქმებაზე



**მას შემდეგ, რაც დასაქმების სააგენტომ გერმანიაში სეზონური დასაქმების მსურველებისთვის რეგისტრაცია დაიწყო, ასეთი 100 000-მდე ადამიანი გამოჩნდა. მათ პირობითად „მეორე“ ეტაპზე გადასვლის იმედი აქვთ და დასაქმების სააგენტოდან ზარს ელოდებიან. წამსვლელების პირველი ნაკადი უკვე შერჩეულია და აპრილში გაემგზავრება კიდეც. იმის შესახებ, თუ ვინ რის მიხედვით შეარჩიეს და როგორი იქნება სააგენტოს შემდგომი ნაბიჯები, „რადიო თავისუფლებას“ სსიპ დასაქმების სააგენტოს დირექტორი ნინო ველთაური ესაუბრა.**

**— ქალბატონო ნინო, პირველ რიგში, ამ მომენტისთვის რამდენი ადამიანია დარეგისტრირებული პორტალზე და რამდენი ვაკანსიაა შემოსული გერმანიიდან?**

ბოლო პერიოდში რეგისტრირებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად არ იზრდება. 97 436 ადამიანია სისტემაში რეგისტრირებული, ამ დროისთვის კი გერმანიიდან შემოსულია 467 ვაკანსია. ყველა (ვაკანსია) გაზაფხულის სეზონზე არ არის, უმეტესი ნაწილი ზაფხულის სეზონზეა — მოსავლის აღება, დახარისხება, შეფუთვა, დასაწყობება.

**— საქართველოდან დასაქმების ყველაზე მეტი მსურველი რომელი რეგიონიდან აღირიცხა?**

— თბილისი, აჭარა, შემდეგ იმერეთი და მერე უკვე სხვა რეგიონები.

**— გერმანიის რომელ ქალაქებში იმუშავებენ საქართველოს მოქალაქეები?**

— შტუდგარდში და ბრანდენბურგში, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ სხვა რეგიონიც დაემატოს.

**— შერჩევისას რას აქცევთ ყურადღებას?**

— გამოცდილება და გერმანული ენის ცოდნა — ეს არის ის საბაზისო, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი. (ფერმერების) უმეტესობას მაინც სურს, რომ საბაზისო დონეზე ჰქონდეს დასაქმებულთან კომუნიკაცია, თუმცა ჯგუფში რამდენ ადამიანს ეცოდინება ენა, ეს უკვე დამსაქმებლის არჩევანია.

იმისთვის, რომ მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ კანდიდატებს სეზონურ სამუშაოზე, დაწყებული გვაქვს რეგიონებში ჯგუფური კონსულტაციები და შემდეგ ვთავაზობთ კონკრეტულ ვაკანსიას.

მაგალითად, გურიაში სამივე მუნიციპალიტეტში გვქონდა ჯგუფური კონსულტაციები. 470 ადამიანი მოვიწვიეთ, მათი 70 % კარგი გამოცდილების მქონე, 30 % გერმანული ენის მცოდნე იყო. გენდერული ბალანსი დავიცავით, ასაკობრივ ჯგუფებად დავყავით —18-29, 30-45, 45+ და ალბათობის პრინციპით შევარჩიეთ ეს 470 ადამიანი, რომელთაგან მოვიდა, დაახლოებით, 60 %, მათგან კონკრეტულ ვაკანსიაზე აპლიკაციის შესავსებად - საერთო რაოდენობის 25 %.

**— პირველი ჯგუფი აპრილში უნდა გაემგზავროს გერმანიაში. რომელი რეგიონიდან არიან კანდიდატები შერჩეული და თუ ვიცით უკვე, რამდენი წავა სეზონურ სამუშაოზე?**

— ესენი არიან აჭარისა და გურიის რეგიონებიდან შერჩეული კანდიდატები — 25 ადამიანი. ახლა მიმდინარეობს კონტრაქტების გამოგზავნისა და საბუთების შეგროვების ეტაპი, გაფრენის თარიღიც ამაზეა დამოკიდებული. გეგმაშია, წავიდეს 25-30 ადამიანი. 30 იმიტომ, რომ კიდევ ერთ დამსაქმებელთან გვაქვს შეთავაზება გაგზავნილი.

მას შემდეგ, რაც კონტრაქტები ჩამოდის და დასაქმების მსურველები თანხმდებიან პირობებს, უტარდებათ წასვლისწინა საორიენტაციო ტრენინგი. მერე უნდა აიღონ ჯანმრთელობის ცნობა, ჩაუტარდეთ კოვიდის ტესტი, აიღონ ნასამართლეობის ცნობა, შეავსონ გერმანიის სასაზღვრო დეპარტამენტის სპეციალური სარეგისტრაციო ფორმა, რაშიც ჩვენ ვეხმარებით, და

## დარეგისტრირდა 97436 ადამიანი! გერმანიიდან შემოსულია მხოლოდ 467 ვაკანსია!

შეიძინონ ბილეთები, რაზეც ასევე ვაწვდით ინფორმაციას, რომელ კომპანიას რა დროს და რა ფასად აქვს ბილეთები. გაფრენის ორგანიზება უკვე თავად უნდა შეძლონ და შემდეგ ადგილზე ხვდებათ დამსაქმებელი.

**— როდის დაკომპლექტდება შემდეგი ჯგუფები?**

— ივნისის თვიდან ძალიან აქტიურდება ვაკანსიები, შემდეგ შეიძლება უკვე რამდენიმე რეგიონიდან წავიდნენ, რადგან მეტი ვაკანსიაცაა და რეგიონებში ჯგუფური შეხვედრები უკვე ჩატარებული იქნება.

აპრილის თვეში მოხლოდ ერთ დამსაქმებელს ჰქონდა გამოგზავნილი მოთხოვნა.

**— თუ ადამიანმა კონკრეტულ ვაკანსიაზე უარი თქვა, ის ბაზაში აღარ რჩება, თუ დაუკავშირდებით, როდესაც მისთვის სასურველი ვაკანსია გამოჩნდება?**

— პირობითად, თუ ადამიანმა გამოთქვა სურვილი, რომ მხოლოდ მარწყვის კრეფა შეუძლია და სხვა კულტურებზე არ იმუშავებს, ამ შემთხვევაში დავეკონტაქტებით, როდესაც ასეთი ვაკანსია იქნება. შეიძლება ახლა არ უნდა ადამიანს წასვლა და, პირობითად, სექტემბრის თვეში თუ გამოჩნდება სამუშაო, მაშინ ურჩევნია... ჯერ ავსებენ ინდივიდუალურ საააპლიკაციო ფორმას, შემდეგ შესაფერისი ვაკანსიის გამოჩენისას ხდება მათთან დაკონტაქტება და სამსახურის მაძიებელი თუ თანახმაა, ვუგზავნით მონაცემებს დამსაქმებელს. ასეთი კონსულტაციები ყველა რეგიონში იქნება და, თან, რამდენჯერმე — იქამდე, სანამ ყველა რეგისტრირებულს არ დავფარავთ, რომლებიც აკმაყოფილებენ უცხო ენისა და გამოცდილების კრიტერიუმებს.

**— რა არის ის, რაც ჯგუფურ შეხვედრებზე ყველაზე ხშირად აინტერესებთ?**

— ხარჯები და შემოსავლები აინტერესებთ, სამუშაოს განაწილება და დატვირთვა, თუ შეიძლება, რომ იმაზე დიდხანს დარჩნენ, ვიდრე კონტრაქტითაა გათვალისწინებული. ვუხსნით, რომ 90 დღეზე მეტი შენგენის ზონაში არ შეიძლება, რომ საქართველოს მოქალაქე გაჩერდეს.

**— რაც შეეხება დაბეგვრის საკითხს, აქამდე ცნობილი იყო, რომ დასაქმებულის ხელფასი დაიბეგრებოდა საშემოსავლოს 5 %-ით. შემდეგ გაირკვა, რომ ზოგ შემთხვევაში 25 % ჩამოეჭრებათ ხელფასიდან. ვის ეხება ეს რეგულაცია?**

— ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც ჯგუფური კონსულტაციებისას განვიხილავთ. გერმანიის დაბეგვრის სისტემა ძალიან კომპლექსურია. 5% ეს არის საშემოსავლო, რომელიც ყველაზე დაბალი განაკვეთია და ეს ერგებათ სეზონურ მუშაკებს, თუმცა, თუ მოქალაქეები საქართველოში არიან დასაქმებულები ან თვითდასაქმებულები (ინდმეწარმეები, მიკრო მეწარმეები) მაშინ ირთვება სოციალური დაზღვევის გადასახადი, რაც შეადგენს 20 %-ს. შესაბამისად, ამას ემატება საშემოსავლოს 5 % და, ჯამში, ვიღებთ ამ ციფრს.

მაგრამ თუ მოქალაქე არის სტუდენტი, პენსიონერი, დიასახლისი, მამასახლისი, მისი შემოსავალი იბეგრება 5 %-ით. წინასწარ ივსება სოციალური დაზღვევის გადასახადის ფორმა, იგზავნება გერმანიაში და იქიდან მოდის პასუხი, თუ რამდენი პროცენტი ჩამოეჭრება კონკრეტულ დასაქმებულს, 5 თუ 25 პროცენტი.

**— საცხოვრებელ პირობებს რაც შეეხება, წინასწარ თუ იციან, სად და რამდენ ადამიანთან იცხოვრებენ?**

— ერთ ოთახში შეიძლება ცხოვრობდეს 4-5 ან 6 ადამიანი. ქირის ფასი ეცოდინებათ წინასწარ. წინასწარ ვაფრთხილებთ, მოლოდინი არ ჰქონდეთ, რომ სასტუმროს დონის საცხოვრებელი იქნება, მაგრამ ეს იქნება მოწესრიგებული სუფთა გარემო, მით უმეტეს, რომ გერმანელ დამსაქმებლებს დიდი გამოცდილება აქვთ სეზონურ სამუშაოებზე ადამიანების დასაქმების.

**ანი ბურდული,**
**„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.**

# „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა“...



## „ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად, ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო,

*— აგრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი*



ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

## თავი 3

### კულტურა და საზოგადოება

კაცობრიობის ისტორიის ხედვა თვალწინ გვიყენებს იმ კონფლიქტთა განუწყვეტელ წყებას, რაც ჩნდება ერთ გაერთიანებასა თუ საზოგადოებასა და სხვა იქნებ რამდენიმეს შორისაც, დიდ და მცირე ჯგუფებს შორის, აგრეთვე იმ ოლქებს, ადგილებს, ტომებს, ხალხებსა და იმპერიებს შორის, ამ კონფლიქტებს თითქმის მუდამ ძალის მეოხებით და ომის გზით რომ წყვეტენ.

* * *

ძველი ისტორია იმ სახით, რა სახითაც ჩვენი შვილები სკოლაში სწავლობენ, არსებითად, ყოველთვის გენოციდთა წყება და რიგია.

* * *

კაცობრიობის კულტურა ორ რასმე საწყისს ეყრდნობა: ბუნების ძალთა ფლობას და ჩვენი ამა თუ იმ სწრაფვის შეზღუდვას.

* * *

კაცობრიობის კულტურული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, თუ ყოველსავე გავითვალისწინებთ, ბუნების ვნებათაგან პროგრესული განდგომა, რისი დაკმაყოფილებაც უზრუნველყოფს ჩვენი „მე“-ს ელემენტარულ ტკბობას.

* * *

ვიდრე მედიცინას არ ძალუძს ჩვენი ცხოვრების უზრუნველყოფა და სოციალური ორიენტირები იქით არ არის მიმართული, რომ მედიცინა სიხარულის მომტანი იყვეს, მანამდე ჩვენში არ ჩაიხშობა პროტესტი ზნეობის მოთხოვნათა წინააღმდეგ.

* * *

როგორც არ უნდა განვმარტოთ ცნება „კულტურა“, მაინც უდავოა, რომ სუყოველივე, რითიც კი ვცდილობთ მოსალოდნელი ტანჯვისგან თავის დაცვას, სწორედ ამ კულტურას ეკუთვნის.

* * *

ჩვენი უბედურებისა გამო ბრალის დიდი ნაწილი ჩვენს ეგრეთ წოდებულ კულტურაზე მოდის; ბევრად უფრო განუზომლად ბედნიერნი ვიქნებოდით, უკეთუ დავეუარნოდით ამ კულტურას და პირველყოფილობას დავუბრუნდებოდით.

* * *

ბოლოს და ბოლოს, კულტურის მთავარი ამოცანა, კულტურისავე დასაბუთება ბუნებისგან ჩვენი დაცვაა.

* * *

თავისუფლების წყურვილი მიმართულია... განსაზღვრულ ფორმათა და კულტურისავე მოთხოვნათა წინააღმდეგ ანდა კულტურის წინააღმდეგ საერთოდ.

* * *

პირადი თავისუფლება კულტურის მიღწევა არ არის. მაქსიმალური იყო ის სუყოველგვარ კულტურამდე, თანაც მაშინ კულტურას ხშირად არცრა ფასი არა ჰქონდა, რამეთუ ინდივიდს ძლივს თუ ძალედვა იმისი დაცვა.

* * *

კულტურული პროგრესის საფასური ბედნიერების შემცირებაა ბრალეულობათა გრძნობის ზრდის ხარჯზე.

* * *

ასე რომ, კულტურა ფრიად საგრძნობ მსხვერპლთ ითხოვს არა მარტო სექსუალობისგან, არამედ აგრეთვე ადამიანის აგრესიული მიმართულებისგანაც, ჩვენთვის ადვილია იმის მიხვედრა, თუ რატომ უჭირს ადამიანს ბედნიერების შეგრძნება მასში, კულტურაში.

* * *

გატაცებათა აქროლა (სუბლიმაცია) კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი თვისებაა, რასაც ძალუძს ფრიად შესამჩნევი როლის შესრულება უმაღლესი ფსიქიკური მოღვაწეობის კულტურულ ცხოვრებაში – სამეცნიეროში, მხატვრულში, იდეოლოგიურში.

* * *

კაცობრიობის ბრძოლის არცთუ მცირე ნაწილი თავს იყრის ერთი მიზნის გარშემო – ვიპოვოთ მიზანშეწონილი რამ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, ბედნიერი წონასწორობა პირადულ უფლებათა მოთხოვნათა და ხალხის კულტურულ მოთხოვნილებათა შორის. მიიღწევა თუ არა ეს წონასწორობა კულტურის განსაზღვრულ ფორმათა მეოხებით თუ კონფლიქტი ისევ მოუგვარებელი დარჩება – ესეგვარია კაცობრიობის ერთ-ერთი საბედისწერო პრობლემა.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №58

* * *

...კულტურის განვითარებას არცრა გადაკვრით თუ ნართაულად უნდა ვუწოდოთ კაცთა მოდგმის ბრძოლა გადასარჩენად.

* * *

შეუძლებელია შორეულ მომავალში კულტურული განვითარების გამო თუ მიზეზით მთელი კაცთა მოდგმის შეწყვეტის საერთო მუქარის გამორიცხვა.

* * *

წონასწორობა სექსუალური ლტოლვის მოთხოვნათა და კულტურას შორის საერთოდ შეუსრულებელი რამ არის.

* * *

...კაცობრიობა ათადან-ბაბადან ჩართულია კულტურული განვითარების პროცესში. ამ პროცესისგან დავალებული ვართ სუყოველივე საუკეთესოს გამო, რაც რამ შეგვიქმნია, თანაბრად იმ მნიშვნელოვანი ნაწილისა გამო, რისგანაც აგრერიგად ვიტანჯებით.

* * *

საზოგადოებისთვის არცრა არის იმაზე ბევრად უფრო საშიში თავისი კულტურისთვის, ვიდრე სექსუალურ ლტოლვათა გამოთავისუფლება და იმათი დაბრუნებაა თავდაპირველი მიზნებისკენ.

* * *

სოციალური მოწყობის პირველი ფორმა გაჩნდა ინსტინქტისგან განდგომასთან ერთად, ურთიერთვალდებულთა შეგნებით, ურღვევად (წმიდათაწმიდად) გამოცხადებული განსაზღვრული წესრიგის დამყარებით – ესე იგი, ზნეობისა და სამართლიანობის დასაბამით.

* * *

წესრიგის სარგებლიანობა თვალსაჩინოა: ის ემეოხება ადამიანს სივრცისა და დროის საუკეთესოდ გამოყენებაში და ამავე დროს იცავს, უფრთხილდება იმის ფსიქიკურ ძალებს.

* * *

იდეალური მდგომარეობა, რასაკვირველია, შესაძლებელია ადამიანთა საზოგადოებაში, რომელი ადამიანებიც თავიანთ სუყოველ ლტოლვას დაუმორჩილებდნენ გონების დიქტატურას... მაგრამ უაღრესად საალბათოა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ უტოპიური ოცნებაა.

* * *

ჯგუფის ერთობის გრძნობა რომელიმე გარეშე უმცირესობის მიმართ მტრული დამოკიდებულების სრულყოფილებას ითხოვს, და ჯგუფში ამ დაუშვებელი უმცირესობის მრავალი მაღალი ადგილი ხელს უწყობს იმისვე ჩაგვრას.

* * *

ჩვეულებრივი ადამიანის მთელი ცხოვრებისეული გზა თავისი სავალდებულო პირობით იმას ითვალისწინებს, რომ მთელი თავისი ძალ-ღონის ყოველდღიურ მძიმე სიღატაკესთან იბრძოლებს... საცოდავთ ნებით თუ უნებლიეთ სქელკანიანებად ყოფნა უწევთ და სიფაქიზეს მოკლებულნი არიან, სხვაგვარად ვერ გაუძლებდნენ ცხოვრების სიდუხჭირეს. ისინი თავიანთ საღ ინსტინქტს მისდევენ და ახსოვთ, რომ ბუნება და საზოგადოება მიმართულია იმათი სიყვარულის წინააღმდეგ. მაშ, აბა, რატომ უნდა უგულებელვყოთ წუთიერი კმაყოფილება, უკეთუ სხვა რასმეს არც უნდა ველოდოთ?

* * *

წესრიგი ერთხელ დადგენილის იძულებითი განმეორებაა.

* * *

მართლზომიერი იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ წესრიგი ადამიანის მოღვაწეობაში დამყარდებოდა თავდაპირველადვე და სულაც არა იძულებით, და საკვირველია, რომ ასე არ მოხდა, რომ ადამიანი, პირიქით, იჩენს ბუნებრივ მიდრეკილებას ბელეშობის, უწესრიგობისა და უპასუხისმგებლობის მიმართ და მხოლოდ ძალიან დიდი ძალისხმევით არის შესაძლებელი იმის მიჩევა ციურ ნიმუშთა მიბაძვაში.

* * *

...სულაც საჭირო არ არის იმის აკრძალვა, რისი ქმნაც არცვის არა სურს და სუყოველ დროს არც იმის ქმნა ეგების, რაც კატეგორიულად აკრძალულია, აკრძალვის ნაცვლად ის რაღაც გულისთქმის საგანი უნდა გახდეს.

* * *

სოციალური სამართლიანობა ნიშნავს, რომ შენს თავს ბევრ რამეში უარს ეუბნები, რათა ის ყველაფერი სხვებმაც აიკრძალონ, ანდა რაიც ანალოგიურია და ამის უფლება გვაქვსო, არ განაცხადონ. თანასწორობის ასეთი მოთხოვნა სოციალური სინდისისა და მოვალეობის გრძნობის ძირ-ფესვია.

* * *

რეალური ხელისუფლების იდეის ხელისუფლებით შეცვლის ცდა დღეს ჯერჯერობით განწირული საქმეა. სათვალავში შეცდომა მაშინ იწყება, როცა ივიწყებენ, რომ უფლება თავისივე საფუძველში შიშველი ძალა იყო და რომ დღესაც გვერდს ვერ აუვლის და იოლად ვერ გავა ძალის დაუხმარებლად.

* * *

რაც კულტურის განვითარებას ხელს უწყობს, აგრეთვე ომის წინააღმდეგ მოქმედებს.

* * *

ამბობენ, დედამიწის ზურგზე ბევრი ბედნიერი კუთხეა, სადაც ბუნება უხვად სძღვნის ყოველსავე აუცილებელს, და იქ ისეთი ტომები ბინადრობენ, ნეტარ სიმშვიდეში რომ ცხოვრობენ, არც ძალადობა იციან, არც აგრესია. ძალიან მიჭირს ამის დაჯერება და დიდი ხალისით შევიტყობდი ბევრად მეტს ამ ბედნიერ ადამიანებზე.

* * *

აგრესიისადმი ლტოლვა ადამიანის მიდრეკილების თავდაპირველი და დამოუკიდებელი ბეა. კულტურა მასში ყოვლის უფრო საგულისხმო რასმე პოულობს.

* * *

კაცთა მოდგმისთვის საბედისწეროდ მიმაჩნია საკითხი, კულტურის გზაზე შესაძლებელია თუ არა და რა ხარისხით აგრესიისადმი და თვითგანადგურებისადმი მიდრეკილება, რასაც ადამიანის არსებობის მოსპობისკენ მივყავართ.

* * *

რამდენადაც ძალუმია აგრესიის მხრიდან კულტურის წინაშე დაბრკოლება, იმდენადვე უბედურდებიან ადამიანები.

* * *

ადამიანებს, როგორც ჩანს, ეძნელებათ თავიანთი აგრესიული მოთხოვნილებებით კმაყოფილებაზე დაუარება; ამ დროს თავს ცუდად გრძნობენ. არ შეიძლება პატარა კულტურული საზოგადოების უპირატესობის შეუფასებლობა, რომელი საზოგადოებაც მტრული დამოკიდებულების შესაძლებლობას ქმნის იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ამ საზოგადოების ფარგლებს გარეთ არიან. ყოველთვის არის იმის შესაძლებლობა, რომ ურთიერთსიყვარულით გაერთიანდეს ადამიანთა დიდი ჯგუფი, უკეთუ ამასთანავე რჩებიან სხვა ადამიანები აგრესიის გამოსავლენად.

* * *

იმის მისწრაფება, რომ ადამიანს აგრესიის მიმართ მიდრეკილებას წავართმევთ, პრაქტიკულად განუხორციელებელია.

* * *

...ჩვენ, პაციფისტებს, ომი ფიზიკურ ზიზღსა გვგვრის, თავისებურ იდიოსინკრაზიას ყოვლის უფრორე უკიდურესი გამოვლინებით.

* * *

ვიდრემდის არ გაქრება სხვადასხვა ხალხის არსებობის პირობებში აგრერიგად უზარმაზარი განსხვავებულობა, და არ შეწყდება ესოდენ მძლავრად გამოხატული უკუგდება იმათ შორის, მანამდის იქნება ომებიც.

* * *

აუცილებელია ომის წინააღმდეგობა სუყოველივესი, რაც რამ აერთიანებს ადამიანთა გრძნობებს.

**(გაგრძელება მომდევნო ნომერში)**



# ინფორმაცია ა(ა)იპ „თიბისი ფონდის“ მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ

**ა(ა)იპ „თიბისი ფონდის“ მიერ მხარდაჭერილი პროექტები მრავალფეროვანია — ნიჭიერი ახალგაზრდების განათლება და პროფესიული განვითარება, კულტურა, ხელოვნება, სოციალურად აქტუალური თემები, რაგბის პოპულარიზაცია და სხვა. მიღებული შემოწირულობებით ფონდმა შეძლო ფინანსური დახმარება გაეწია რელიგიური ორგანიზაციებისთვის, ბავშთა, მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომვლელი და მომსახურე ორგანიზაციებისათვის, საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის.**

## განათლებისა და ხელოვნების დაფინანსება

ფონდი კვლავ აგრძელებს ნიჭიერი ახალგაზრდების დახმარებას მათი განათლების დაფინანსების გზით. გაცემული იქნა საგანმანათლებლო გრანტები იმ ნიჭიერ ახალგაზრდებზე, რომლებიც სწავლობდნენ საქართველოს თუ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში და საჭიროებდნენ ფინანსურ მხარდაჭერას. 2020 წელს ფონდმა ნიჭიერი ახალგაზრდების განათლება დააფინანსა თანხით 5 689 ლარი.

## აკეთე ის, რაც გულით გიყვარს – საჩუქარი 200 ბავშვს

მთელი საქართველოს მასშტაბით 200 ახალგაზრდას, ბავშვს, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ნიჭით ხელოვნებაში, მეცნიერებასა თუ სპორტში, თუმცა არ აქვთ ამ ნიჭის გამოვლენისათვის სათანადო მხარდაჭერა, ფონდი ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად საჩუქრად გადასცემს 100 ლარს. პროექტი მიმდინარეობდა 2019 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. პროექტის განსახორციელებლად 2020 წელს ფონდმა გაიღო 55 600 ლარი.

## სალოტბარო სკოლა ვაზისუბანში

„თიბისი ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით გრძელდება პროექტი „სალოტბარო სკოლა ვაზისუბანში“ — გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში შეიქმნა ქართული გალობა-სიმღერის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მოზიდვასა და მათ განსწავლას ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის საქმეში. 2020 წელს აღნიშნული პროექტი დაფინანსებული იქნა ფონდის მიერ 13 500 ლარით;

## სარაჯიშვილის მუზეუმი

ფონდმა შეიძინა და „მწერალთა სახლს“ საჩუქრად გადასცა სხვადასხვა სახის ავეჯი დავით სარაჯიშვილის მუზეუმისთვის საერთო ღირებულებით 8 970 ლარი;

## დახმარება სხვა ფონდებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებს

2020 წლის განმავლობაშიც ორგანიზაცია ტრადიციულად ფინანსურ დახმარებას უწევდა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, გარემოს დაცვა, კულტურა, განათლება, ფიზიკური აღზრდა, ხელოვნება, ადამიანის უფლებების დაცვა. სს „თიბისი“ ბანკის შემოწირულობით ფონდმა შეძლო ფინანსური დახმარება გაეწია ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელ და მომსახურე ორგანიზაციებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის, საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის. რაზედაც 2020 წლის განმავლობაში გაიღო 1 500 ლარი.

## ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხარჯების დაფინანსება

ფონდი კვლავ ეხმარება იმ ფიზიკურ პირებს, რომელთაც მძიმე ფინანსური მდგომარეობის ფონზე ესაჭიროებათ ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. 2020 წლის განმავლობაში „თიბისი ფონდი“ ათობით ადამიანს დაეხმარა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებისა და სტაციონალური მკურნალობის ხარჯების დაფარვაში, რაზეც გაიღო 1 103 352 ლარი;

## სოციალური პროგრამა

2020 წლის განმავლობაში „თიბისი ფონდი“ ეხმარებოდა და თანადაფინანსებას უწევდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებდნენ სოციალურ პროექტებსა და საქველმოქმედო აქციებს.

სოციალური დახმარების სახით ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად 2020 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი შეადგენს 260 471 ლარს.

ფონდი მსგავსად წინა წლებისა 2020 წელსაც ზრუნავდა აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ არასრულწლოვან ლიკა კეკოშვილზე. დახმარების სახით მის ოჯახზე ჩარიცხული იქნა 2 750 ლარი;

## რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების დაფინანსება

2020 წლის განმავლობაში „თიბისი ფონდი“ კვლავ აქტიურად არის ჩართული ეკლესია მონასტრების მშენებლობის, აღმშენებლობისა და სარესტავრაციო სამუშაოების წარმოების საქმეში. ფონდი დიდი გულისხმიერებით ეკიდება სასულიერო პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას. დახმარების სახით სასულიერო პირებზე ჩარიცხული იქნა 7 707 ლარი;

2020 წლის განმავლობაში „თიბისი ფონდი„ კვლავ აგრძელებს იერუსალიმში ქართული სავანის ფინანსურ მხარდაჭერას. დახმარების სახით სავანეს ამ წელს 17 513 ლარი ჩაერიცხა.

## თიბისი ფონდის მიერ მიღებული შემოწირულობები დაიხარჯა შემდეგი მიმართულებებით:

| 2020 წელი | თანხა |
|---|---|
| ქველმოქმედების ხარჯები | 1 477 452 |
| ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება | 131 838 |
| განათლების დაფინანსება განსაკთრებული ნიჭით დაჯილდ. | 5 689 |
| რელიგიურ ორგანიზაციათა და სასულიერო პირთა დაფინანსება | 25220 |
| სხვადასხვა ორგანიზაციების პროგრამული მუშაობის მხარდაჭერა | 1 500 |
| სოციალური პროექტები | 260 471 |
| საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა | |
| იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა | 2 750 |
| #თიბისი და თიბისელები-გაწეული ხარჯები - ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება | 971 514 |
| შეზღუდული სახსრები-დ.სარაჯიშვილის ავეჯის გამოსყიდვა | 8 970 |
| 'საჩუქარი" განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ 200 ბავშვს | 55 600 |
| გუდრუხის სკოლის მძღოლის ხელფასი (იმედის გმირები) | 400 |
| სოფ. ვაზისუბნის სალოტბარო სკოლის პროექტი | 13 500 |

**ა(ა)იპ „თიბისი ფონდი“**
**აღ. დირექტორი მ. ჩუგოშვილი**

ა(ა)იპ "თიბისი ფონდი"
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

| აქტივები | შენიშვნა | 31-დეკ-20 | 31-დეკ-19 |
|---|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 3 | 103,146 | 365,251 |
| მარაგები | | 19,200 | 22,306 |
| საგადასახადო აქტივი | | 1,717 | - |
| სხვა მოთხოვნები | | - | 78 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **124,063** | **387,635** |
| ძირითადი საშუალებები | 4 | 1,878 | - |
| მონაწილეობა სხვა საწარმოში | 5 | 855,976 | 655,976 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **857,854** | **655,976** |
| **სულ აქტივები** | | **981,917** | **1,043,611** |
| **ვალდებულებები და წმინდა აქტივები** | | | |
| **ვალდებულებები** | | | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | - | 459 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **-** | **459** |
| **წმინდა აქტივები** | | | |
| რეზერვები და დაფინანსება | | 981,917 | 1,043,152 |
| **სულ წმინდა აქტივები** | | **981,917** | **1,043,152** |
| **სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები** | | **981,917** | **1,043,611** |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 24 მარტს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

**მალხაზ ჩუგოშვილი**
აღმასრულებელი დირექტორი
ა(ა)იპ "თიბისი ფონდი"

**ელიზა ჩაჩუა**
ბუღალტერი
ა(ა)იპ "თიბისი ფონდი"

ა(ა)იპ "თიბისი ფონდი"
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**საქმიანობის შედეგების ანგარიშგება**

| | შენიშვნა | 31-დეკ-20 | 31-დეკ-19 |
|---|---|---|---|
| **წმინდა აქტივების ცვლილება** | | | |
| შემოწირულობები | 6 | 1,516,581 | 2,814,545 |
| სხვა შემოსავალი | | - | 900 |
| **სულ შემოსავალი** | | **1,516,581** | **2,815,445** |
| საქველმოქმედო ხარჯები | 7 | (1,477,452) | (2,234,616) |
| ადმინსიტრაციული და სხვა ხარჯი | 8 | (97,382) | (60,283) |
| **სულ ხარჯები** | | **(1,574,834)** | **(2,294,899)** |
| **წმინდა საოპერაციო აქტივების ცვლილება** | | **(58,253)** | **520,546** |
| საგადასახადო სუბსიდია | | 882 | - |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | | (3,106) | (7,742) |
| საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი | | (758) | 7,369 |
| **წმინდა აქტივების ცვლილება მოგების გადასახადამდე** | | **(61,235)** | **520,173** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | - | - |
| **წმინდა აქტივების ცვლილება** | | **(61,235)** | **520,173** |
| **წმინდა აქტივები პერიოდის დასაწყისში** | | **1,043,152** | **522,979** |
| **წმინდა აქტივები პერიოდის ბოლოს** | | **981,917** | **1,043,152** |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2021 წლის 24 მარტს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

**მალხაზ ჩუგოშვილი**
აღმასრულებელი დირექტორი
ა(ა)იპ "თიბისი ფონდი"

**ელიზა ჩაჩუა**
ბუღალტერი
ა(ა)იპ "თიბისი ფონდი"

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ს/ნ 203845009
ბალანსი
2020 წლის

| № | დასახელება | აქტივი | პასივი |
|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებები | 284272 | |
| 2 | ძირითადი საშუალებების ცვეთა | | 171705 |
| 3 | მომწოდებელზე გადახდილი ავანისი | 244983 | |
| 4 | ეროვნული ვალუტა ბანკში | 2718 | |
| 5 | მიმდინარე წლის ფინანსური მოგება | 77625 | |
| 6 | მოკლევდიანი ფინანსური დაბანდება | 1111604 | |
| 7 | სარეზერვო კაპიტალი | | 1111604 |
| 8 | საკუთარი რეზერვი | | 192152 |
| 9 | მიღებული შემოწირულობა | | 245741 |
| | | | |
| | სულ ბალანსი | 1721202 | 1721202 |

ხელმძღვანელი
მთ. ბუღალტერი

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ს/ნ 203845009
ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ
2020 წლის

| № | შემოსავლები | |
|---|---|---|
| 1 | დეპოზიტზე დარიცხული პროცენტები | 14286 |
| 2 | მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით | 245741 |
| 3 | საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მარაგები | 52316 |
| 4 | ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება | 72837 |
| | სულ | 385180 |
| | ხარჯები | |
| 1 | ხელფასი | 30220 |
| 2 | ელ. ნერგიის ხარჯი | 259 |
| 3 | საკომუნიკაციო ხარჯები | 1010 |
| 4 | საწვავის ხარჯი | 3332 |
| 5 | კომუნალური ხარჯი | 1371 |
| 6 | საქველმოქმედო ხარჯები | 257000 |
| 7 | სარეკლამო ხარჯი | 408 |
| 8 | ძირ.საშუალებ მიმდინარე რემონტი | 2081 |
| 10 | საკანცელარიო ხარჯი | 227 |
| 11 | ავტომანქანების დაზღვევა | 1182 |
| 12 | დარიცხული ამორტიზაცია | 8635 |
| 13 | ქონების გადასახადი | 1267 |
| 14 | სხვა ხარჯები | 563 |
| | | |
| | სულ ხარჯები | 307555 |
| | სულ მოგება | 77625 |

ხელმძღვანელი
მთ. ბუღალტერი

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ს/ნ 203845009
მოგება – ზარალის უწყისი

2020 წელი

| № | შემოსავლები | |
|---|---|---|
| 1 | დეპოზიტზე დარიცხული სარგებლი-დან მიღებული შემოსავალი | 14286 |
| 2 | მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით | 245741 |
| 3 | სასაქონლო მარაგების ნაშთი | 52316 |
| 4 | ვალუტის გადაფასებიდან მიღებული შემოსავლი | 72837 |
| | სულ შემოსავალი | 385180 |
| | ხარჯები | |
| 1 | ხელფასი | 30220 |
| 2 | ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი და დასუფთავება | 1630 |
| 3 | დარიცხული ამორტიზაცია | 8635 |
| 4 | ძირითადი საშ. მიმდინარე შეკეთება | 2081 |
| 5 | საწვავის ხარჯი | 3332 |
| 6 | ქონების გადასახადი | 1267 |
| 7 | საქველმოქმედო ხარჯები შემოწირული | 256589 |
| 8 | საქველმოქმედო ხარჯები საკუთარი | 411 |
| 9 | სხვა ხარჯები | 3390 |
| | სულ ხარჯები | 307555 |
| | მოგება | 77625 |

ხელმძღვანელი
მთ. ბუღალტერი

№ დ /03-01 26 მარტი 2021 წ.

აუდიტორმა ნოდარ კვანტალიანმა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში სარეგისტრაციო ნომრით **SARAS-A-680113** (სერტიფიკატი ზ№5/496 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2011 წლის 28 თებერვალს) საერთაშორისო ასოციაცია "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე მოვახდინე 2020 წლის წლიური ანგარიშის, მოგება ზარალის ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.
2020 წელში ასოციაციის მიერ მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 385180 ლარი.
მათ შორის: დეპოზიტზე დარიცხული % - 14286 ლარი, მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით - 245741 ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის ნაშთად არსებული სასაქონლო მარაგები – 52316 ლარი, ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება 72837 ლარი.
ასოციაციის მიერ გაწეული ხარჯები შეადგენს – 307555 ლარს.
აღნიშნული თანხები გახარჯულია მიზნობრივად. ამორტიზაცია დარიცხულია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით. საბიუჯეტო გადასახადები გადარიცხულია დადგენილ ვადებში.
სამეურნეო წლის შედეგად მიღებულია მოგება 77625 ლარი.
2021 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 112567 ლარს.
საერთაშორისო ასოციაცია " საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" 2020 წლის აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მომქმედი კანონმდებლობის დაცვით, ბუღალტრული ბალანსისა და მოგება –ზარალის ანგარიშგება შეესაბამება პირველად საბუღალტრო დოკუმენტებში ასახულ მონაცემებს.
ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის სისწორე დადასტურებულია ჩემს მიერ.

სერთიფიცირებული აუდიტორი: /ნ.კვანტალიანი/

# ორგანიზაციის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ანხორციელებს მრავალ პროექტს როგორც საქველმოქმედო, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით. გრძელვადიან პროექტებს შორის აღსანიშნავია შშმ პირთათვის ეტლების, ყავარჯნების, გადასაადგილებელი ჩარჩოებისა და ხელჯოხების უსასყიდლოდ გადაცემის პროექტი რომელიც რა თქმა უნდა კვლავ გძელდება. მიმდდინარე წელს ორგანიზაციამ ამ საქველმოქმედო პროგრამის ფარგლებში 29 მუნიციპალიტეტის 700 მდე შშმპ-ს უსასყიდლოდ გადასცა ოთხი სხვა და სხვა ტიპის ეტლი, 40 გადასაადგილებელი ჩარჩო, 12 ხელჯოხი და 40 იდაყვის ყავარჯენი. ორგანიზაციამ საქველმოქმედო ღონისძიება გამართა სიღნაღის რ-ნ სოფელ ქვემო ბოდბის საბავშვო ბაღსა და საჯარო სკოლაში. სკოლის ბიბლოითეკას საჩუქრად გადასცა წიგნები, ხოლო სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს ტანსაცმელი. საბავშვო ბაღს გადასცა წიგნები სათამაშოები და ტანსაცმელი. მ/წ წლის 11 თებერვალს ორგანიზაცამ , ამერიკელ პარტნიორ ორგანიზაცია სთან ერთად განახორციელა საქველმოქმედო ღონისძიება დუშეთის რ-ნის სოფელ არღუნში. სადაც 40 ოჯახი ცხოვრობს ორგანიზაცისს თანამშრომლები ეწვივნენ 5 მრავალშვილიან ოჯახს (4-5 და 7 შვილი), და გადასცეს დიდი რაოდენობით ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტკბილეული და წიგნები. სოფელში არის 9 წლიანი სკოლა ამ სკოლის სოციალურად დაუცველ 13 მოსწავლეს გადასცა ასაკის შესაფერისი მხატვრული ლიტერატურა და ტანსაცმელი. მ/წ 14 თებერვალს ასოციაციის წევრები საქველმოქმედო ღონისძიებით იმყოფებოდნენ თიანეთის მუნიციპალიტეტში შშმპ-ს თათვის ეტლების გადასაცემად შემდეგ სოფლებში მაგრანეთი და ნაქალაქარი პირადად მოინახულეს ბენეფიციარები მოარგეს და გადასცეს შესაფერისი ეტლები. შემდეგ ორგანიზაციის თანამშრომლები ეწვივნენ სოფელ ნაქალაქარის საჯარო სკოლას 50 მოსწავლეს გადასცეს ტანსამელი, ხოლო სკოლის ბიბლიოთეკას სხვა და სხვა წიგნები (საყმაწვილო ლიტერატურა და მოზრდილებისათვის ასაკის შესაფერისი წიგნები, მასწავლებლებს მეთოდური ლიტერატურა. შემდეგ გადაინაცვლეს საბავშვო ბაღში და ბაღის აღსაზრდელებს გადასცეს წიგნები, სათამაშოები და წიგნები. სათამაშოები გადსცეს აგრეთვე სოფელ საყდრიონის საბაშვო ბაღის ბავშებს. მ/წ 20 თებერვალს, ქ. გორში განხორციელდა საქველმოქმედო ღონისძიება შშმ პირებს გადასცეს ეტლები, გადასაადგილებელი ჩარჩოები და იდაყვის ყავარჯნები (სულ 59 ბენეფიციარი) მ/წ 26თებერვალს ორგანიზაციის თანამშრომლები მოროგი საქველმოქმედო ღონისძიების განსახორციელებლად ეწვივნენ დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტს და სხვა დასხვა სოფელშლებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს პირადად მოა რგეს და გადასცეს ეტლები, (ეტლი 11 11 შშმ - პირი) ხოლო სოციალურად დაუცველი, ოჯახებს ტანსაცმელი. (მუნიციპალიტეტის 13 სოფლიდან და თვით დედოფლისწყაროდან 35 ოჯახი – 81 ადამიანი) მ/წ 21 თებერვალს ასოციაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ მორიგ ღონისძიება ზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შშმ პირთა თვის ეტლების გადასაცემად. ორგანიზაციამ გადაწყვიტა თავისი წვლილი შეეტანა კოვიდ 19-ის პანდემიასთან ბრძოლაში და იმ სამედიცინო დაწესებულებებს რომლებიც ემსახურებიან ამ დაავადების პაციენტებს უსასყიდლოდ გადასცა საინვალიდო ეტლები ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრს უსასყიდლოდ გადასცა 13 ეტლი, 3 სასიარულო ჩარჩო და 3 წყვილი ყავარჯენი. „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკას“ 10 ეტლი. შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკას უსასყიდლოდ გადასცა 15 ეტლი, სასიარულო ჩარჩოები, იდაყვის ყავარჯნები. მ/წ 2020 წლის 30-31 ივლისს ორგანიზაცია მორიგი ღონისძიების ჩასატარებლად ეწვია ზუგდიდის მმუნიციპალიტეტს სადაც ჩატარდა ეტლების სასიარულო ჩარჩოებისა და იდაყვის ყავარჯნების გადაცემის ღონისძიება, ახლად აშენებულ რუხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს სადაც მუშაობს ცხელების ცე ნტრი და აქტიურად ემსახურება კოვიდ-19-ით დაავადებულებს ასოციაციამ გადასცა 15 ეტლი, 2 გადასაადგილებელი ჩარჩო და 2 წყვილი ყავარჯენი. ამ ღონისძიების შემდეგ ორგანიზაციის თანამშრომლებმა გააგრძელეს ღონისძიება სოფელრ იყეში, სადაც საბავშვო ბაღს (სადაც 75 ბავშვია აღრიცხული) გადასცა საყმაწვილო ჟურნალები, წიგნები და სათამაშოები.ამ ღონისძიების შემდეგ იმყოფებიდნენ საზღვრის პირა სოფელ ტყაიას საჯარო სკოლაში სადაც 93 მოსწავლეა, ამ სკოლკის ბიბლიოთეკას გადასცეს მხატვრული ლიტერატურა, მეთოდური ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ასევე სასწავლო ლიტერატურა წიგნები ინგლისურ ენაზე. მ/წ ორგანიზაციის თანამშრომლებმა განახორციელეს მორიგი საქველმოქმედო ღონისძიება ქ. თბილისის დღის ცენტრ „ია“-ში , სადაც 18 წლიდან 45 წლამდე შშმ პირები არიან განთავსებული. ცენტრში 19 ბენეფიციარია აღრიცხული, დღის ცენტრში ფუნქციონირებს სამკერვალო და ტყავის სახელოსნოები, თიხის საამქრო, ასევე სტამბა, სადაც ბენეფიციარები თვისი ხელით აწარმოებენ სხვადასხვა პროდუქციას და შემდეგ კი ყიდიან თავის პროდუქციას (თეთრეული, თიხის მაგნიტის სუვენირები, მაისურებზე და ჭიქებზე ხატვა, თექის სუვენირების დამზადება, ნაჭრის ჩანთერბის კერვა და სხვა) ვინაიდან პანდემიის გამო პროდუქციის რეალიზაცია გაძნელებულია ორგანიზაციამ მხარდაჭერის მიზნით შეიძინა რამოდენიმე მათი ხელნაკეთი ნივთი. აგრეთვე ასოციაციამ დღის ცენტრის ბენეფიციარებს გადასცა მეორეული ტანსაცმელი. ორგანიზაცია ფულადი შემწეობით ეხმარება თ ღვაწლმოსილ პენსიონერს. ორგანიზაციას აქვს პროექტი რომელსაც უკვე მრავალი წელია ანხორციელებს ეს არის სოციალურად დაუცველი და მარტოხელა მოხუცებისთვის პროდუქტების უსასყიდლოდ გადაცემას, პროექტი ითვალისწინებს 29 ბენეფიციარისთვის ყოველ თვე კვების პროდუქტებით უზრუნველყო ფას, ზოგ შემთხვევაში პროდუქტის ბინაზე მიტანას. დარიგად შემდეგი კვების პროდუქტები (წიწიბურა, მაკარონი, შაქარი, ზეთი, შვრიის ფანტელი, ბრინჯი).

ასოციაცია კვლავ განაგრძობს პროექტებში მონაწილეობას და სქველმოქმედო სქმიანობის განხორციელებას.

ტრიუმფი



# ეს დიდი პატივია!

**როგორც მოგეხსენებათ, 26 წლის ნიკა ამაშუკელი შარშან შემოდგომის ერთა თასზე მიიწვიეს.**

და აი, ახალგაზრდა ქართველი სარაგბო მსაჯის კიდევ ერთი აღიარება: იგი ჩელენჯ კაპის მერვედფინალში „ლონდონ აირიშისა“ და „კარდიფ ბლუზის“ შეხვედრას გაუძღვება.

**„ეს მართლაც რომ ღირსშესანიშნავი ამბავია, მოემსახურო ინგლისურ-უელსურ დაპირისპირებას. ვემზადები როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად, რათა ვასახელო სამშობლო და განვამტკიცო ის ნდობა, რაც ქართველ არბიტრთა მიმართ დამსახურებულად გაჩნდა“** — ამბობს ნიკა.

პერსპექტიული თანამემამულის ასეთი დაფასება „ბორჯღალოსანთათვის “ დამატებით სტიმულად უნდა ქცეულიყო გუშინ „მიხეილ მესხზე“ 10 000 ქომაგის თანდასწრებით გამართულ რაგბი ევროპის პრინციპულ ბრძოლაში რუმინელ „მუხის ფოთლებთან“, რომელსაც პორტუგალიელი პაულო დუარტე მსაჯობდა, სწორედ ის, ვინც 7 თებერვალს შარშანდელი მსგავსი ტურნირიდან კორონავირუსის პანდემიის გამო რამდენჯერმე გადმოდებულ შეხვედრას გაუძღვა ვაკეშივე რუსებთან.

როგორც მოგეხსენებათ, ამჯერად პარალელურად 2023 წელს საფრანგეთში დანიშნული მსოფლიო თასის საგზურის ბედიც წყდებოდა, ამიტომ უპრიანია სტატისტიკას გადავხედოთ და ახლო წარსულში მცირე ექსკურსი შემოგთავაზოთ: ეს გახლდათ აღნიშნულ მეტოქეთა 25-ე მატჩი, საიდანაც 14 მასპინძლებს ჰქონდათ მოგებული.

ძველ მეგობართა შორის ასევე საიუბილეოდ — მეოცედ გათამაშდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ტრადიციული პრესტიჟული თასი, სადაც უპირატესობას ასევე ჩვენ ვფლობდით — 13:6.

რაც შეეხება რვა ლეგიონერით გაძლიერებულ კარპატისპირელთა შემადგენლობას, მათ აკლდათ ბადიუ, სერი, ფონოვაი და მაკოვეი, მაგრამ, სამაგიეროდ, ინგლისელი ენდი რობინსონის გაწვრთნილ „სტეუარის“ დაუბრუნდნენ ტრავმამოშუშებული როჟე და კირიკა.

## საქართველო – რუმინეთი 28:17 (13:7)

**როგორც მოსალოდნელი იყო, მეტოქეებმა ტოლი არაფერში დაუდეს ერთმანეთს, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ შეხვედრის მსვლელობას მნიშვნელოვანი დაღი დაასვა მე-20 წუთზე მოწინააღმდეგის წესების დარღვევით შებოჭვისთვის სარბიელიდან მამუკაშვილის მატჩის ბოლომდე შეცვლის უფლების გარეშე გაძევებამ, რამაც სტუმრებს საკმაოდ გაუადვილა „ბორჯღალოსნებთან“ ღირსეულად გამკლავება.**

ფორსმაჟორულ ვითარებაში ლევან მაისაშვილის შეგირდებმა არჩეულ სათამაშო ტაქტიკურ სქემას ბოლომდე უერთგულეს და უკომპრომისო ბრძოლაში გამოჭედეს ის გამარჯვება, რომელმაც ერთბაშად სამი კურდღელი დააჭერინათ.

**ლელო:** ჯალაღონია (საჯარიმო ლელო), გიგაშვილი, ტაბუცაძე;
**გარდასახვა და საჯარიმო:** აბჟანდაძე;
**არეკნი:** ბაბუნაშვილი.

დავძენთ, რომ წლევანდელი ტურნირის დასკვნითი ტურის ფორმალობად ქცეულ შეხვედრას ჩვენი გუნდი 29 მაისს ჰოლანდია — ბელგიას შორის გამარჯვებულთან ივნისში გამართავს.

**გილოცავთ, ქართველნო!**

## სტარტი

# საბრძოლო ნათლობა

**ხომ არ დავაგვიანეთ? — ძალაუნებურად იფიქრებდი შვედეთ-საქართველოს საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო შეხვედრის შემხედვარე.**

საუბარია ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების თავკაცად ფრანგი ვილი სანიოლის დანიშვნის თარიღზე — 15 თებერვალზე(!).

პასუხი ზედაპირზე დევს: დიახ, ძალიან დავაგვიანეთ, რადგან, პირველი შთაბეჭდილებით, „ჯვაროსანთა“ ახალი დამრიგებელი, უპირველესად, საკუთარი პრინციპების ერთგულ პიროვნებად წარმოჩინდა, ხოლო რამდენად კვალიფიციური მწვრთნელია, შესაბამის შეხედულებას მომდევნო თამაშები გაგვიმყარებს.

მართლაც, სადებიუტო ბრძოლაში ბევრი ვერ გაბედავდა გუნდის კაპიტნის ჯაბა კანკავასა და მთელი საფეხბურთო ევროპის ყურადღებით გარემოსილი ხვიჩა კვარაცხელიას შეცვლას, ამბიციურმა მოწვეულმა სპეციალისტმა კი უყოყმანოდ მიიღო ეს გადაწყვეტილება.

სიმბოლურია, რომ ყატარში გაისად გასამართავი მუნდიალისაკენ მიმავალ გზას „ჯვაროსნები“ სტოკჰოლმის მეგობრობის არენად წოდებული სტადიონიდან შეუყვნენ, რადგან უკანასკნელი თვეების განმავ-



ლობაში ჩვენს ქვეყანაში აწეწილი პოლიტიკური ვითარების დალაგებაში კოლეგებთან ერთად მთავარ როლებს სწორედ შვედი დიპლომატები — ჰარცელი და დანიელსონი ასრულებენ, თუმცა, სჯობს ძირითად სათქმელს დავუბრუნდეთ.

თუ ძველ, პოპულარულ გამოთქმას მოვიშველიებთ — კადრები წყვეტენ ყველაფერსო, — სტუმრები განწირულებს ჰგავდნენ, რადგან ჩაკვეტაძის, ოქრიაშვილის, კვირკველიას, დავითაშვილის, ხოჭოლავას, ყაზაიშვილისა და დაუშვილის არყოფნაში სკანდინავიელებს იბრაჰიმოვიჩი დაუბრუნდათ. ზლატანს რომ პირადად შეუძლია ნებისმიერი მეტოქის დაშამათება, 35-ე წუთზე დაამტკიცა, როცა ფილიგრანულად დაამუშავა ბურთი და კლაესონს გამარჯვების მომტანი გოლი გაატანინა — 1:0.

გარდა აღნიშნული ეპიზოდისა, მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი კიდევ შექმნეს, მაგრამ ლორიამ გვიხსნა, თუმცა, შანსები ჩვენც გვქონდა, როცა ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა ქვილითაიამ მოუთათუნა ბურთს ფეხი უნიათოდ, ხოლო ბოლო წუთებზე შენგელიას უძლიერესი დარტყმა მოიგერია ნორდფელდტმა.

აქვე ღირსეულ დებიუტს ვულოცავთ ჩაბრაძესა და გიორბელიძეს, მცირე რეცენზიას კი ფიფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ვილი სანიოლის ინტერვიუდან საგულისხმო ამონარიდებით დავასრულებთ: **„მე ახლა ვცხოვრობ ქვეყანაში, რომელსაც სურს განვითარება და სადაც შემიძლია სასარგებლო როლი შევასრულო. ჩემთვის ეს არის საშუალოვადიანი პროექტი, რადგან ჩვენს დღევანდელობაში გრძელვადიანი პროექტები აღარ არსებობს. ეს პროექტი იმიტომ მომწონს, რომ ის საჭირო დროს გამოჩნდა და რეალური გამოწვევაა.**

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ამოცანაა, მოერგოს თანამედროვე ფეხბურთს, ანუ წინ სწრაფი ნაბიჯებით წავიდეს. ასევე, მოთამაშეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი თავის რწმენა და თამაშის დროს რისკზეც უნდა წავიდნენ.**

**რაც შეეხება პროგრამა-მინიმუმს, კარგი შედეგი იქნება ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება“.**

## ლეგიონერი

# როგორც სჩვევია

**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის ფინიშამდე რამდენიმე ტურით ადრე პლეი-ოფში თამაში გაინაღდა ცსკა-მ, რომელმაც მეოცე გამარჯვება 10 მარცხის წილ შინ ერთ-ერთ აუტსაიდერ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ მოიპოვა — 87:72.**

არმიელთაგან კიდევ ერთხელ გაიბრწყინა **თორნიკე შენგელიამ,** რომელიც 16 ქულითა და 7 მოხსნით მატჩის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე გახდა სარგებლიანობის კოეფიციანტით 23. იგი მხოლოდ თანაკლუბელ დანიელ ჰაკეტს ჩამორჩა — 24. მეორე ადგილზე მყოფი მოსკოველები ხვალ სანკტ პეტერბურგში „ზენიტს“ ეწვევიან.

**გუშინ თორნიკემ კიდევ ერთხელ იაქტიურა „უნიქსთან“ ვითიბი ლიგაში მოგებულ მატჩში — 102:86.**

**მან 25 წუთში 15 ქულა მოაგროვა.**

**მოამზადა გიორგი შოთაძემ**

## ავოიეეე!..

# ცოცხალი მძორის „ევროაპეკუნი“



**მაშინ, როცა მედიაციის მეორე რაუნდის წინ კრისტიან დანიელსონის დაბრუნებას ველოდით, შვედ დიპლომატს ევროპარლამენტარმა ანდრიუს კუბილიუსმა დაასწრო, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და მოლაპარაკებათა პროცესში ივანიშვილ-სააკაშვილის დუეტის ჩართვის საკითხი გააჟღერა, რასაც, სხვათა შორის, თვით წინა ხელისუფლების გებელსად მიჩნეული გიგა ბოკერიაც კი არ დათანხმდა.**

ერთი შეხედვით, მაცდური იდეაა, რომელსაც დილეტანტთა, ობივატელთა და, უბრალოდ, რიგით მოკვდავთა, განსაკუთრებით — ცოცხალ ლეშად ქცეული საკუთარი ნაცფიურერის გაცოცხლების მსურველთა გარკვეული მასა დაუჭერს მხარს, მაგრამ ვისაც მოვლენათა საღად განსჯის უნარი ჯერაც არ დაუკარგავს, ბუნებრივია, ადვილად მიხვდება, რომ ბალტიისპირელ „მეგობარს“, ვირეშმაკურად ჩაფიქრებული განზრახვის შესაბამისად, კონკრეტული მიზანი ამოძრავებს — პოლიტიკურ სამყაროს რადარებიდან გამქრალი, ნაფტალინწაყრილი ერთ დროს ქართველი ექს-პრეზიდენტის პერსონა გაახსენოს, რომელსაც ყოფილ სამშობლოზე გული ისე შესტკივა, რომ, თურმე, ცხრა მთას იქით განცხრომით ყოფნას კავკასიის მთებში წამოჭრილ პრობლემებთან შებმა ურჩევნია და საამისოდ მზადაა ჩვენზე მზრუნველ დასავლელთა დაკვეთა შეასრულოს.

ასეთ არამკითხე მოამბეებსა და ძალად მოკეთეებს გვინდა შევახსენოთ, რომ ამჟამად უკრაინის მოქალაქე, საერთაშორისო მაწანწალა და მაოხრებელი გზირი არავის ტიკიტომარა აღარაა, მონაწილეობა რომ მიიღოს თბილისში დანთებული იმ კოცონის ჩაქრობაში, რომლის აგიზგიზებაშიც უდიდესი წვლილი სწორედ მას მიუძღვის.

არანაკლებ მრავლისმეტყველად გვესახება ამ დღეებში გამომძიებელ ჟურნალისტთა მიერ კიევში მოპოვებული სკანდალური მასალები, რომლებიც ცხადყოფენ ორი მეგობარი ერის სირცხვილად ქცეული ავანტურისტის მორიგი, ამჯერად — სარკინიგზო აფიორის მფარველობასა და წევრობას, მილიონიანი წილების „გაიმასქნებაში“ რომაა გადაზრდილი დნეპრის ნაპირებზე გადახვეწილ თანამემამულეებთან ერთად (ადეიშვილი, ეზუგბაია, უგლავა).

ასე რომ, აქტუალურად უნდა მივიჩნიოთ დილემა — უკრაინულ ციხეში შეაბრძანებენ მომავალ ტუსაღს თუ ქართულში, სადაც, სხვათა შორის, განაჩენი უკვე რამდენიმე საქმეზე აქვს გამოტანილი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ძებნილი მიშასა და კულისებს მიღმა ვალმოხდილად გადანაცვლებული ბიძინას ერთ სიბრტყეში მოხსენიება მკაფიოდ მეტყველებს შემოთავაზებული, ჩანასახშივე იგნორირებისთვის განწირული იდეის ავტორის, უკეთეს შემთხვევაში — განსახილველი საკითხის ჭეშმარიტ არსში მცირედ წვდომასა და, უფრო რეალურად — საეჭვო დაინტერესებასა და მიკერძოებულობაზე.

**მართლაც: რა უთქვამს, რა მოუჩმახავს?!**

**გია პლატონიშვილი**

◉ სიბრძნის კიდობანი

# იქნებ დაგაფიქროთ




**„ჩავამთავრე ნანა გუნიას შეგონებების მშვენიერი წიგნი, მისი ავტორის პიროვნება და მისი მკითხველისთვის მოწვდილი რჩევები შევადარე ერთმანეთს და ასეთი დასკვნა გავაკეთე — დიახ, ქალბატონ ნანას უნდა დაეწერა ეს წიგნი. სწორედ მისგან მიიღებდა მკითხველი ამ ალალ საჩუქარს, ცხოვრებაში გზამკვლელად რომ გამოადგება“,** — წერს ნანა გუნიას ახალი წიგნის „იქნებ დაგაფიქროთ“ შესავალ წერილში ამავე წიგნის თანარედაქტორ ბატონი **კონსტანტინე კაჭარავასთან** ერთად, საქართველოს სახალხო მწერალი და თანამედროვეობის დიდი ნოველისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ბატონი **რევაზ მიშველაძე.**

მოკრძალებული სათაური შეურჩევია ქალბატონ ნანას ბრძნული გამონათქვამების კრებულისთვის, სადაც თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით შეძენილი სიბრძნე წარმოუდგენია — იქნებ დაგაფიქროთო, — მოკრძალებული, არ ავალებს, არ უბრძანებს, არ ავალდებულებს მკითხველს გინდა თუ არა გაიზიარე და ცხოვრების საწინდრად გაიხადეო. ეს რომ მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, მისი მრწამსია, თითქოს ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგია, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილია, როგორც ბედნიერი დედისა და ბებიის აღმზრდელობითი გამოცდილებაა. **რწმენა, ადამიანი, ოჯახი, დედაშვილობა, ბედნიერება** — ესაა, რაც ადამიანის მთელი ცხოვრების კრედოა, სწორედ აქედან გამომდინარე რჩევები მოგვაწოდა პატარა კრებულის სახით ქალბატონმა ნანამ, ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის პედაგოგმა, 50-მდე სამეცნიერო შრომისა და 14 წიგნის, პოეზიის 13 კრებულისა და ხატოვანი გამონათქვამების ავტორმა, ქველმოქმედმა, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატმა, შვილმა, რომელმაც დედას სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც ათასამდე საოცარი, სიყვარულითა და პატივისცემით აღსავსე ლექსი უძღვნა რამდენიმე კრებულად გამოცემული და მშობლის ჯერ კიდევ ვერგადახდილი ვალი თავისებური სიყვარულით შეავსო.

უამრავი გამოცემა არსებობს ბრძნული გამონათქვამებისა — ცნობილ ადამიანთა სიბრძნის ნამცვრევები, ხალხური სიბრძნე — ანდაზებად და გამონათქვამთა სახით შემონახული, აღმოსავლური თუ მსოფლიოს სხვადასხვა მხარის სიბრძნე შეკრებილი უხსოვარი დროიდან დღევანდლამდე, ცხოვრებისეული გამოცდილებით ნასაზრდოები. გენიოსთა და ცნობილ ლიტერატორთა, მეცნიერთა გამონათქვამები. რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი ცხოვრებაა, რამდენი ცხოვრებაცაა შინაარსიანად გატარებული, იმდენი სიბრძნე არსებობს. თუნდაც ერთი გამონათქვამი, თუნდაც ერთი ფრაზა, რომელმაც ერთი უბრალო, თითქოსდა ვერვისგან ცნობილი ადამიანი ცნობილად აქცია და პირიქით დიდი, უკვე დაბრძენებული, გამოცდილი ადამიანის ცხოვრებისეული სიბრძნე, რომელიც სხვათათვის მაგალითად გამომდგარა და იმდენად შთამბეჭდავი ყოფილა, რომ დღემდის ჭკუის სასწავლებლად და დამაფიქრებლად ქცეულა.


საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი
დიპლომი
იაკობ გოგებაშვილის პრემია
მიენიჭა
ნანული (ნანა) გუნიას
დიდაქტიკურ-შემეცნებითი ჟანრისათვის
„იქნებ დაგაფიქროთ“.
საქართველოს მწერალთა კავშირის საპრემიო კომისიის თავმჯდომარე — რევაზ მიშველაძე
საქართველოს მწერალთა კავშირის საპრემიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ხიხო ხუგუა
2021

ქალბატონ ნანას, თავისი ცხოვრებისეული წესით, გამოცდილებითა და მოღვაწეობით აქვს (და საჭიროდაც მიგვაჩნია, რომ აღვნიშნოთ), უფლება თავისივე ნააზრევი გადმოგვცეს ამგვარი სახით, რომელსაც სიბრძნის კიდობანი ჰქვია და თავისი ხასიათიდან გამომდინარე ამგვარი მოწიწებით მოგვაწოდოს — იქნებ დაგაფიქროთო...

**მამუკა ვაშაკიძე**


# განცხადება

**2021 წლის 24 აპრილს დღის 11 საათზე გაიმართება ჩოხატაურის სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

**1. ს.ს. „ტრანსპორტელი“-ს 2020 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები და წლიური ბალანსის განხილვა.**
**2. განცხადების განხილვა.**
**3. სხვადასხვა.**

**მისამართი: ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა №51.**

**ჩოხატაურის ს.ს. „ტრანსპორტელის“ დირექტორი**
**დ. კეკელიძე**


# კახა კალაძე თავს უკეთ გრძნობს, მუშაობს დისტანციურად და მალე დაუბრუნდება ჩვეულ რეჟიმს



**თბილისის მერს კახა კალაძეს დამატებითი სამედიცინო კვლევები ჩაუტარდა.** მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის ნეიროოტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ეკატერინე ხარხელის მიერ მას დაუდგინდა საბოლოო დიაგნოზი — იშემიური გენეზის კოხლეოვესტიბულური დისფუნქცია.

**„დედაქალაქის მერი თავს უკეთ გრძნობს, მკურნალობის დინამიკა დადებითია. კახა კალაძე აგრძელებს მკურნალობას კლინიკაში, მუშაობს დისტანციურად და მალე დაუბრუნდება ჩვეულ რეჟიმს“,** — აცხადებენ თბილისის მერიის პრესსამსახურში.

# მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ

**საქართველოს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი გურამ დოჩანაშვილს დაბადების დღეს ულოცავს.**

თეა წულუკიანი გურამ დოჩანაშვილს სწრაფ გამოჯანმრთელებას უსურვებს.



**„დღეს გურამ დოჩანაშვილის დაბადების დღეა და მინდა, მას ძალიან სწრაფად გამოჯანმრთელება, კლინიკის დატოვება ვუსურვო ჩვენ გასახარად და მომავალი თაობებისთვის ახალ-ახალი შედევრების შესაქმნელად“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.


# რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ვაჟა ფშაველას ქ. №48

599 79-76-79;
568 82-09-84


# რუსუდან კერვალიშვილს სასჯელის ვადა ეწურება

**მაია რჩეულიშვილის ვადამდე გათავისუფლებაზე კი ხელს დაზარალებულები არ აწერენ**

**„ცენტრპოინტის“ დაუსრულებელი შენობების დემონტაჟი ან, რამდენიმე ობიექტზე, მშენებლობა დაწყებულია. პარალელურად, თბილისის მთავრობა ინვესტორებთან მოლაპარაკებებსაც მართავს. „ცენტრპოინტის“ 6 500 დაზარალებულიდან კი, საპროცესო შეთანხმებას ხელს არცერთი არ აწერს. ისინი ამ საქმეზე მსჯავრდებულების ვადამდე გათავისუფლებას მხარს არ უჭერენ.რუსუდან კერვალიშვილს რამდენიმე დღეში გაათავისუფლებენ. მას სასჯელის ვადა ეწურება.**

„ცენტრპოინტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მეშვიდე მოწვევის პარლამენტის წევრი ციხეს, სასჯელის ბოლო დღეს დატოვებს. 4-წლიანი თავისუფლების აღკვეთა რუსუდან კერვალიშვილისთვის 30 მარტს იწურება. დასთან ერთად, ციხის დატოვების შესაძლებლობა მაია რჩეულიშვილსაც ჰქონდა, თუმცა ადვოკატი მარიამ ცუცქირიძე ამბობს, რომ მთავარი სიტყვა დაზარალებულებმა თქვეს და რჩეულიშვილის გათავისუფლებაზე ხელი არავინ მოაწერა.



**დაზარალებულები ამბობენ, რომ მაია რჩეულიშვილმა, კერვალიშვილის მსგავსად, სასჯელი სრულად უნდა მოიხადოს. ისინი აცხადებენ, რომ რჩეულიშვილის ვადამდე გათავისუფლებას იმ პირობით დათანხმდებიან, თუ უკლებლივ ყველა დაზარალებულს დააკმაყოფილებენ.**

დაზარალებულების დასაკმაყოფილებლად, დედაქალაქის მერია ათობით ინვესტორთან და მშენებელთან მოლაპარაკებებს მუდმივ რეჟიმში მართავს. მშენებლობა-დემონტაჟი უკვე დაწყებულია რამდენიმე ობიექტზე. კახა კალაძის მოადგილე ამბობს, რომ სამშენებლო ნებართვების ნაწილი უკვე გაცემულია, საგანგებოდ შეცვლილია კოეფიციენტებიც. ილია ელოშვილი ხმაურიანი საქმის დასრულებას აპრილის ბოლოს ვარაუდობს.

**თაღლითობასა და მენაშენეთა კუთვნილი თანხების, 11 მილიონი ლარის მითვისებაში მაია რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშილი 2017 წელს სასამართლომ დამნაშავედ ცნო. კიდევ ერთი გამამტყუნებელი განაჩენი რჩეულიშვილის მიმართ 2019 წელს გამოცხადდა. ე. წ მიონის ეპიზოდზე, მას 7-წლიანი პატიმრობა შეეფარდა. ბათუმის მაგნოლიას ეპიზოდზე სამართლებრივი დავა, თითქმის ორი წელია, ბოლო ეტაპზეა შეჩერებული.**

სასამართლო დაზარალებულებსა და ბრალდებულებს შორის მორიგებას ელოდება. თუ შეთანხმება ვერ შედგება და საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოცხადდება, გუკა რჩეულიშვილს საპატიმროში დაბრუნება 7 დან 11 წლამდე ვადით მოუწევს.

# კოლხური ხოხობი ველურ ბუნებას მიაბარეს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, ქობულეთის მუნიციპალიტეტში დასავლეთ საქართველოს პოპულაციის 40 ფრთა კოლხური ხოხობი ველურ ბუნებაში გაუშვა. ტერიტორიაზე მეთვალყურეობას ადგილობრივ მონადირეთა საინიციატივო ჯგუფი „საზოგადოებრივი რეინჯერი“ განახორციელებს. მონადირეთა საინიციატივო ჯგუფების მონიტორინგში ჩართულობა მნიშვნელოვანია უწესრიგო ნადირობების შედეგად ბუნებაში შემცირებული სახეობების აღდგენა-გამრავლების ხელშეწყობისთვის.**



ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ადგილობრივი ველური სახეობის ფაუნის გამრავლების და ბუნებაში აღდგენის პროექტს 2016 წლიდან ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად, კოლხური ხოხბის, კაკბისა და პორფირიონის (ხონთქრის ქათამი) პოპულაციის ზრდა და ბუნებაში გაშვება ხდება.

**2020 წელს, ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოჯიხევში კოლხური ხოხბის საწიწილე მეურნეობა მოეწყო. მეურნეობა მოიცავს ბუნებასთან ინტეგრირებულ ვოლიერებს, საინკუბატორო-საწიწილე ნაგებობებს და ადმინისტრაციულ შენობას. მეურნეობის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი კოლხური ხოხბის გამრავლებაა.**

# ილია მეორე: მზად უნდა ვიყოთ უფლის მეორედ მოსვლისთვის



**გუშინ** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

**„ცხოვრება ადამიანისა რთულია, მაგრამ უფალი გვაძლევს ძალას და სიბრძნეს, უფალი არ დაგვტოვებს ობლად. ჩვენი ცხოვრება ემსგავსება კიბეს, ერთი პირი მაღლა მიდის, მეორე — დაბლა. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც მაღლა მიდის. ჩვენ უნდა ვთხოვოთ უფალს, რომ ამ უკანასკნელ ჟამს ჩვენ — ყველა მაღლა მიმავალ კიბეზე ვიყოთ. მაცხოვარი ამბობს, „თხოვდით და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოს თქვენ“. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დრო იწურება და მზად უნდა ვიყოთ უფლის მეორედ მოსვლისთვის. ცხოვრება ადამიანისა რთულია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფალი სუფევს, უფალი მეფობს, უფალი გვაძლევს ძალას და სიბრძნეს, უფალი არ დაგვტოვებს ობლად.**

**განსაკუთრებით უნდა ვიფიქროთ ახალგაზრდებზე, ჩვენს მომავალ თაობაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ახალგაზრდობა გარემოცულია უარყოფითი მოვლენებით. ღმერთი არ დაგვტოვებს, ძალას მოგვცემს. ფსალმუნი ამბობს: „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“. ძალა და მშვიდობა მოგვანიჭოს ზეციერმა მამამ, ძალა და მშვიდობა სუფევდეს ჩვენს გონებაში, ჩვენს გულში, საქართველოსა და მსოფლიოში. ჩვენი სამღვდელოება თავდადებულად ებრძვის ბოროტებას, იბრძვის სულიერი წინსვლისთვის. დღეს ჩვენ გადავწყვიტეთ, დავაჯილდოვოთ მოძღვარი. დეკანოზი ფარნავაზ კობიაშვილი თავდადებული მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდეს მეორე ჯვრის ტარების უფლებით, აქსიოს. „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“. მშვიდობა სუფევდეს თქვენში და თქვენ გარშემო, გაიხარეთ. ჩვენთან არს ღმერთი“,** — განაცხადა ილია მეორემ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბალდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## ორი პროფესიონალი ქართულ კულტურას წაადგება



**„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თეა წულუკიანთან ერთად ვმუშაობ. კარგად ვიცი მისი სიღრმეები, თუ როგორ შეუძლია გაერკვიოს ყველა საკითხში. თეა წულუკიანი იქნება ძალიან წარმატებული. მას სხვადასხვა მიმართულებით ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდება. მთავარი, რასაც ის გააკეთებს, იქნება ის, რომ გაატარებს რეფორმებს. თეა წულუკიანი გააკეთებს ყველაფერს, რაც არის ქვეყნის ინტერესებში. კომიტეტის ფარგლებში მეც გავაკეთებ იმას, რაც ქვეყანას სჭირდება. ახალი კანონები მორგებული იქნება ხალხის ინტერესებზე“,** — ამის შესახებ პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ელისო ბოლქვაძემ განაცხადა.

## ოპერისა და ბალეტის თეატრი მუსიკალური ფესტივალისთვის ემზადება




**„უვერტიურა“, ასე ჰქვია მუსიკოს დავით ევგენიძის ახალ პროექტს, რომელიც ქართველი კომპოზიტორების კლასიკური ნაწარმოებების ნომრებს აერთიანებს.**

პროექტის ორგანიზატორის, დავით ევგენიძის განცხადებით, ფესტივალი პანდემიის დროს შეიქმნა და ყოველწლიურად გაიმართება.

**„ეს ის შემთხვევაა, როდესაც დავფიქრდით ჩვენს კლასიკურ მუსიკაზე და გვინდოდა, დავხმარებოდით კლასიკური მუსიკის შემსრულებლებს. შემდეგ გაჩნდა იდეა, შევასრულოთ ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. რა თქმა უნდა, მოცარტის, ვივალდის, შოპენისა და სხვა გენიალური კომპოზიტორების ნაწარმოებების შესრულება ფანტასტიკაა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ქართველ კომპოზიტორებს არ აქვთ ეს ფუფუნება, რომ ხშირად გამოდიოდნენ სცენაზე. ამიტომ მოგვივიდა იდეა, ამ სახით გაგვეკეთებინა. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ოპერისა და ბალეტის თეატრს, ბადრი მაისურაძესა და ეკა გელაშვილს ასეთი ქველმოქმედებისთვის. მათ გარეშე ეს ყველაფერი არ შედგებოდა. რა თქმა უნდა, მერიას, ამ პროექტის მიღებისთვის და დამტკიცებისთვის, გვერდზე დგომისთვის და მადლობა ჩვენს საზოგადოებრივ არხს. კონცერტი ხვალ გავა თბილისის მერიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ პლატფორმაზე, ასევე ფესტივალის ტრანსლაცია ევროპის სამოც ქვეყანაში გაიმართება“,** — განაცხადა დავით ევგენიძემ. ამასთან, როგორც ფესტივალის თანაორგანიზატორმა ირაკლი ევსტაფიშვილმა განაცხადა, პროექტში მონაწილეობას იღებს 40-მდე მუსიკოსი, სხვადასხვა ინსტრუმენტალისტი და მომღერალი.

## ცნობილ ქანდაკებას რესტავრაცია უტარდება



**რიო-დე-ჟანეიროში მდებარე იესო ქრისტეს ქანდაკებას წელს 90 წელი უსრულდება. იუბილესთვის ბრაზილიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მისთვის კოსმეტიკური რემონტი ჩაეტარებინა.**

დრონზე დამაგრებული 3D სკანერის მეშვეობით შეიქმნა 38-მეტრიანი ქანდაკების შიდა სტრუქტურის დეტალური სქემა. ასევე გამოვლენილია მისი პრობლემური მონაკვეთები. ქანდაკების რესტავრაციაზე 40-კაციანი ჯგუფი მუშაობს. ქანდაკება ერთ-ერთი პოპულარული ტურისტული ადგილია. პანდემიამდე მას წელიწადში 2 მილიონზე მეტი ადამიანი სტუმრობს.

## ვინსენტ ვან გოგის უცნობი ნახატი



**ვინსენტ ვან გოგის უცნობი ნახატი, რომელმაც 100 წელზე მეტი დახურულ კარს მიღმა გაატარა, აუქციონზე 11,2 მილიონ ფუნტად გაიყიდა.**

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ნახატი, რომელზეც პარიზის ქუჩაა გამოსახული, 1887 წლით თარიღდება და ის საფრანგეთში ერთ-ერთი ოჯახის საკუთრება იყო. ნახატი სახელწოდებით „ქუჩის სცენა მონმარტში“ ვან გოგმა 1886-1887 წლებში შექმნა მაშინ, როცა პარიზში თავის ძმასთან თეოსთან ცხოვრობდა.

## ტყუპების ფენომენი...

**ბრიტანელი ტყუპი დაბადების შემდეგ ცალ-ცალკე ოთახებში მოათავსეს, მაგრამ ორი კვირის შემდეგ ერთმანეთი მაინც იცნეს. ახალშობილებიდან ერთი 652 გრამი დაიბადა, მეორე კი 1.5 კილოგრამი. შესაბამისად, ისინი დაბადებისთანავე გადაიყვანეს ინტენსიური ზრუნვის განყოფილებაში. ტყუპი სხვადასხვა სივრცეში მკურნალობდა.**



მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, ჩვილები ერთმანეთის გვერდით დააწვინეს. როგორც ბავშვის დედა იხსენებს, სიხარულისგან ტიროდა, როცა დაინახა, როგორ შეხვდა და-ძმა ერთმანეთს. **„ისინი ერთმანეთს ხელებსა და ფეხებს სჭიდებდნენ. ძალიან საყვარლები იყვნენ“,** — ამბობს ტყუპის დედა. ექიმების განცხადებით, და-ძმა საავადმყოფოს მაისში დატოვებს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!
განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.
ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 31 მარტს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.3718; ევრო - 3.9733;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6457;
100 რუბლი - 4.4366; თურქული ლირა - 0.4194;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9843;
1000 სომხური დრამი - 6.3667.

**ამინდი 29 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -8, | დღე | +11 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე | +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე | +13 |
| თბილისი: | ღამე | +1, | დღე | +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge